

თამარი ზვიადაძე

სუბროგაციის პრინციპის გამოყენების დაუშვებლობა
სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2020 წელი

საავტორო უფლება © 2020 წელი, თამარი ზვიადაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშრომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: _____ (თამარი ზვიადაძე)

თარიღი: 30/07/2020

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი თამარი ზვიადაძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: სუბროგაციის პრინციპის გამოყენების დაუშვებლობა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: _____ (მაკა კარტოზია)

თარიღი : 30/07/2020

რეზიუმე

დაზღვევა სოციალური ურთიერთობის განვითარებასთან ერთად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. სამოქალაქო ბრუნვას თან ახლავს რისკები, რომლის თავიდან აცილების ან შემცირებისაკენ მიილტვის სამართლის სუბიექტი. სწორედ რისკის საკუთარ თავზე აღებას სთავაზობს სადაზღვევო კომპანია კლიენტებს. ამისათვის კი სანაცვლოდ სადაზღვევო პრემიას იღებს.

სადაზღვევო სამართლის მომწესრიგებელ ნორმებს რამდენიმე მიზანი აქვს. მათ შორის უმთვრესი უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილებაა. იგი ეხება, როგორც დამზღვევს, ისე ზიანის მიმყენებელ მესამე პირსაც. პირის უსაფუძვლო გამდიდრების შესაძლებლობის გამორიცხვისათვის სადაზღვევო სამართალში მოქმედებს სუბროგაციის პრინციპი, რაც გულისხმობს მზღვეველზე მოთხოვნის უფლების გადასვლას. ნაშრომში განხილულია სუბროგაციის არსი, მნიშვნელობა და მიზნები. მისი გამოყენების წინაპირობა სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაა.

სუბროგაციის პრინციპის გამოყენება გამორიცხება დამზღვევის ოჯახის მიმართ, გარდა განზრახ მიყენებული ზიანის შემთხვევისა. შეზღუდვის მიზანი დამზღვევის ქონების დაცვაა. აღსანიშნავია, ოჯახი არ უნდა გავიგოთ მხოლოდ ფორმალური გაგებით და სადაზღვევო სამართლის მიზნებისათვის იგი უნდა განიმარტოს, როგორც პარტნიორების ერთობლივი ცხოვრება და ერთიანი საოჯახო მეურნეობის განხორციელება, მიუხედავად იმისა, დარეგისტრირებულია თუ არა ასეთი კავშირი.

სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაზღვევის ერთ-ერთი სახეა. მზღვეველი იღებს რისკს დამზღვევის შესაძლო მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაზე. მისი მიზანი დამზღვევის ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება წარმოადგენს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, მზღვეველის ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ ვრცელდება ზიანის განზრახ მიყენების შემთხვევაში. კანონმდებელი ასეთ დროს დამზღვევს დაცვის მიღმა ტოვებს.

წინამდებარე ნაშრომში შეპირისპირებულია სუბროგაცია და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა. შეიძლება ითქვას, ეს არის დამზღვევისა და მზღვეველის ინტერესთა კონფლიქტი, რაც დამზღვევის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს თავად სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის არსისა და მიზნებიდან გამომდინარე. დაუშვებელია, პირი იხდიდეს სადაზღვევო პრემიას და შემდგომ საკუთარ თავს მოსთხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ნაშრომში, ასევე, განხილულია საერთო სამართალში მოქმედი ანტისუბროგაციული წესები და ქართული სასამართლო პრაქტიკა. გაკრიტიკებულია სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სუბროგაციის პრინციპის გამოყენების თაობაზე.

Abstract

Insurance is becoming more and more important with the development of social relations. Civil turnover is accompanied by risks that the subject of the law tends to avoid or reduce. It is the risk that the insurance company offers to its clients. For this he receives an insurance premium in return.

The rules of insurance law have several purposes. The most important of these is to avoid unjust enrichment. It applies to both the insurer and the injured party. The principle of subrogation applies in the insurance law to exclude the possibility of unjust enrichment of a person, which implies the transfer of the right of claim to the insurer. The paper discusses the essence, meaning and goals of subrogation. A prerequisite for its use is compensation for accidental damage caused by insurance.

The application of the principle of subrogation to the insurer's family is excluded, except in the case of intentional damage. The purpose of the restriction is to protect the property of the insurer. It should be noted that the family should not be understood only in a formal sense and for the purposes of insurance law it should be interpreted as the cohabitation of partners and the implementation of a single family farm, regardless of whether such a union is registered.

Civil liability is one type of insurance. The Insurer assumes the risk of committing a possible unlawful act by the Insurer. Its purpose is to release the insurer from property liability. It is important to note that the insurer's liability for damages does not apply in the event of intentional damage. The legislator in such a case leaves the insurer beyond protection.

The present paper contrasts subrogation and civil liability insurance. It can be said that this is a conflict of interests between the insurer and the insurer, which must be resolved in favor of the insurer itself based on the essence and purposes of civil liability insurance. It is not permissible for a person to pay an insurance premium and then claim compensation for the damage caused.

The paper also Anti-subrogation rules in Georgian law and Georgian court practice are discussed. The court decision on the application of the principle of civil liability insurance subrogation has been criticized.

შინაარსი

შესავალი	7
ლიტერატურის მიმოხილვა	
2. დაზღვევის არსი	13
2.1. დაზღვევის სუბიექტი და ობიექტი	14
2.2. სადაზღვევო ინტერესი	16
2.3. დამზღვევის ვალდებულება	18
3. სუბროგაციის პრინციპი	20
3.1. სუბროგაციის მიზანი	22
3.2. სუბროგაციის წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები	23
3.3. საოჯახო პრივილეგია	27
4. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	28
4.1. სამოქალაქო პასუხისმგებლობის სადაზღვევო ინტერესი	31
4.2. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანი	33
4.3. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის და მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ურთიერთმიმართება	35
5. დამზღვევის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველი	39
5.1. ზიანის ფაქტის არსებობა	40
5.2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ადრესატი	42
5.3. მზღვეველის გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან	44
6. სუბროგაციის პრინციპის გამოყენების დაუშვებლობა	48
6.1. ანტისუბროგაციული წესები	50
7. სასამართლო პრაქტიკა	52
დასკვნა	
ბიბლიოგრაფია	

შესავალი

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხშირია ისეთი რისკები, რომლის რეალიზებაც არასასურველი შედეგები მოჰყვება. ამ შედეგების ნეგატიური მხარის მინიმალიზებას ემსახურება სადაზღვევო საქმიანობა. დაზღვევა უზრუნველყოფს ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის სხვადასხვა მავნე ფაქტორის ზემოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას¹. ამიტომაც, დაზღვევას სამოქალაქო სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება².

სადაზღვევო სამართალში მოქმედებს სუბროგაციის პრინციპი, რომელიც არეგულირებს მზღვეველს, დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელ მესამე პირს შორის ურთიერთობას. დაზღვევის ობიექტების მიხედვით განასხვავებენ ქონებრივ და პირად დაზღვევას³. სადაზღვევო სუბროგაციული ურთიერთობა კი წარმოადგენს ისეთი სახის ურთიერთობას, რომელიც ახასიათებს ქონების დაზღვევას⁴. დაზღვევის სახეების მსგავსი დაყოფა ხელს უშლის სადაზღვევო ურთიერთობების სიღრმისეულ გააზრებას, გაანალიზებას, რასაც სამოქალაქო პასუხისმგებლობის სამართლებრივი შინაარსის არასწორი განსჯა მოჰყვება. ხშირია შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა სახის დაზღვევის მიზნებისა და პრინციპების აღრევა ხდება. ეს უკანასკნელი კი იწვევს, როგორც სადაზღვევო ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების არასამართლიან გადანაწილებას, ისე სადავო საქმეზე სასამართლოს მიერ არასწორი გადაწყვეტილების გამოტანას.

წინამდებარე თემის აქტუალურობას განაპირობებს იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა. მეცნიერთა შორის დისკუსიის

¹ ამირანაშვილი გ. სუბროგაციის უფლების დაუშვებლობა, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2011,19

² ნ. მოწონელიძე, სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, თბილისი, 2015,13

³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, ლ.ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2001,140

⁴ ნ. კვარაცხელია, სუბროგაცია სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016,30

საგანია საკითხი, შესაძლებელია თუ არა სუბროგაციის გამოყენება პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ.⁵ პრობლემის გადასაწყვეტად, აუცილებელია სადაზღვევო ხელშეკრულებათა გამიჯვნა წლების განმავლობაში დამკვიდრებული დაყოფისაგან განსხვავებული კრიტერიუმებით⁶, რაც საშუალებას მოგვცემს სწორად გავერკვეთ პასუხისმგებლობის დაზღვევის პრინციპებში, ფუნქციებსა და მიზნებში. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს დაზღვეულის დაცვა იმ ქონებრივი ზიანისგან, რომელიც მას მესამე პირის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველზე შეიძლება წარმოემვას.⁷ აღნიშნული სრულიად განსხვავდება სუბროგაციის მიზნისაგან, რაც გულისხმობს დაზღვევის უსაფუძვლოდ გამდიდრების წყაროდ გადაქცევის აკრძალვას ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარისათვის.⁸ ამდენად, მართალია, სუბროგაცია და სამოქალაქო პასუხისმგებლობაც ზიანის დაზღვევის თავშია მოცემული, თუმცა საკანონმდებლო ხარვეზი არ უნდა გახდეს სამართლებრივი ნორმის არასწორი გამოყენების საწინდარი. ამის თავიდან ასაცილებლად, მისი განმარტების მეთოდები უნდა გამოვიყენოთ. განმარტების ხერხებს და საშუალებებს კი მივყავართ კანონმდებლის იმ რეალურ მიზანთან, რომლის მიღწევაც სამართლებრივი ნორმის შემოღებით სურდა.

ზემოაღნიშნული გარემოებები ნათლად წარმოაჩენს ამ ორი სამართლებრივი ინტსტიტუტის შინაარსის აღქმის პრობლემას. წინამდებარე ნაშრომით შესაძლებელი გახდება სიღრმისეულად ჩავწვდეთ მათ არსს, განვასხვავოთ ერთმანეთისაგან და არ მოხდეს ისეთი აღრევა, რაც არასწორი პრაქტიკის დანერგვის წინამორბედი იქნება. სამართლის

⁵ ნ. მოწონელიძე, სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, თბილისი, 2015,92

⁶ ნ. მოწონელიძე, სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, თბილისი, 2016,130

⁷ მოწონელიძე, ნ. ექიმის პროფესიული დაზღვევის თავისებურებანი - შედარებითსამართლებრივი ანალიზი, სამართლის ჟურნალი N1, 2019,78

⁸ ნ. მოწონელიძე, სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, თბილისი, 2016,60

ნორმების არასწორ განმარტება/გამოყენებას არასამართლიანი გადაწყვეტილების მიღებამდე მივყავართ.

სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს ოთხ კვლევის მეთოდს, ესენია: დესკრიფციული მეთოდი, ანალიზური მეთოდი, სინთეზური მეთოდი.

ნაშრომი შედგება, შესავალის 7 თავის, 13 ქვეთავისა და დასკვნითი ნაწილისაგან.

ნაშრომის მეორე თავი ეთმობა დაზღვევის ცნებას. რა არის დაზღვევა, რა ნიშნები ახასიათებს მას. ასევე, განხილული იქნება სადაზღვევო ურთიერთობის სუბიექტები და ობიექტი, ვინ არიან სადაზღვევო ხელშეკრულების მხარეები, მესამე პირები სადაზღვევო ურთიერთობებში. დაზღვევის საგანია სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. დამზღვევს უნდა გააჩნდეს სადაზღვევო ინტერესი დაზღვევის ობიექტის მიმართ. აღნიშნული წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულების არსებით პირობას. მართალია სამოქალაქო კოდექსში არაა ნახსენები სადაზღვევო ინტერესის სავალდებულოობის თაობაზე, თუმცა, იგი გამომდინარეობს თავად დაზღვევის არსიდან. თუ არ არსებობს სადაზღვევო ინტერესი, ასეთი ხელშეკრულება ჩაითვლება ბათილად და მზღვეველს არ წარმოუშობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. სადაზღვევო ინტერესის არსებობა იცავს მზღვეველს დამზღვევის არაკეთილსინდისიერი ქმედებისაგან.

ნაშრომის მესამე თავში წარმოდგენილია სუბროგაციის მიზანი, წინაპირობები, რომელსაც ამ პრინციპის გამოყენების საფუძველია. ასევე განხილულია საოჯახო პრივილეგია დამზღვევის ოჯახის წევრების მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას. სადაზღვევო ურთიერთობებში სუბროგაციის პრინციპი გულისხმობს კრედიტორის შეცვლას იმგვარად, რომ სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი არ იცვლება. ამით იგი განსხვავდება რეგრესისაგან, რომელიც ახალი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას გულისხმობს. ხშირია შემთხვევა, როდესაც სუბროგაციას აიგივებენ კანონისმიერ მოთხოვნის დათმობასთან, თუმცა

სუბროგაციის შემთხვევაში უნდა დადგინდეს, არსებობდა თუ არა მზღვეველის მიერ ვალდებულების შესრულების სამართლებრივი საფუძველი.⁹ ნაშრომში, ასევე, განხილულია „საოჯახო პრივილეგი“-ის საკითხები. ეს უკანასკნელი დამზღვევი პირის ოჯახის წევრს პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს და მის მიმართ მზღვეველის სუბროგაციის უფლებას იმპერატიულად გამორიცხავს¹⁰.

ნაშრომის მეოთხე თავში მიმოხილულია სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტები და ობიექტი, სადაზღვევო ინტერესი, მიზანი. მსგავსი ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისას დამზღვევის ინტერესი არა პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, არამედ მისი შემსუბუქებაა. ამის მისაღწევად იგი სადაზღვევო კომპანიას უხდის სადაზღვევო პრემიას გაწეული რისკის სანაცვლოდ, ხოლო მზღვეველი კი მზადაა საკუთარ თავზე აიღოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

ნაშრომის მეხუთე თავი ეთმობა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას დამზღვევის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძვლებს, ვალდებული პირის სუბიექტის დადგენას. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას მიყენებული ზიანი ანაზღაურდება იმ სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, რომლებიც აწესრიგებს ამ ურთიერთობას. როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში დელიქტური ურთიერთობები წარმოიშობა.

ნაშრომის მეექვსე თავში წარმოდგენილია სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისა და სუბროგაციის პრინციპის ურთიერთმიმართება, გამოყენების დასაშვებობა თუ აკრამალვა. როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზნები განსხვავდება სუბროგაციის მიზნებთან შედარებით. მათი აღრევა იწვევს არასწორი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რაც არასამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილების მიღების საწინდარია. ამიტომაც, მნიშვნელოვანია,

⁹ ნ. მოწონელიძე, სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, თბილისი, 2016, 188

¹⁰ იქვე, 82

ზუსტად და ნათლად ჩამოყალიბდეს ამ ორ ინსტიტუტს შორის ზღვარი და დამზღვევს არ დავაკისროთ პასუხისმგებლობა, რომლისგან შემსუბუქებასაც ითვალისწინებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.

ნაშრომის მეშვიდე თავი ეთმობა სასამართლო პრაქტიკას. განხილული იქნება უზენაესის სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება, რომლითაც საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას დახმარება გამიწია ნორმატიულმა მასალამ და სამოქალაქო კოდექსმა.

განსაკუთრებით დამეხმარა შემდეგი ლიტერატურა:

ქ.ირემაშვილის სადოქტორო ნაშრომი „მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში“ (2016), რომელიც დაზღვევის არსს, მიზნებს, დაზღვევის სუბიექტებს, სადაზღვევო ხელშეკრულებასა და მისი დარღვევის შედეგან დამდგარ ზიანს ეხება.

ნ. მოწონელიძის სადოქტორო ნაშრომი, „სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება“ (2016), რომელიც აღწერს სუბროგაციის არსს, სუბროგაციის გამიჯვნას რეგრესისა და ცესისგან.

ნ. კვარაცხელია „სუბროგაცია სადაზღვევო ურთიერთობებში“ (2016), რომელშიც განხილულია სუბროგაციის არსი, მიზანი, სადაზღვევო ურთიერთობის მხარეები, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ფარგლები.

ქ. მესხიშვილის წიგნი „კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თოერია და სასამართლო პრაქტიკა“ (2020), რომელიც მნიშვნელოვან საპროცესო სამართლებრივ წესებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ფართოდ მიმოიხილავს. მასში ასევე განხილულია მტკიცების ტვირთის გადანაწილება.

ლადო ჭანტურიას რედაქტორობით „სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I“ (2017) , რომელშიც ამომწურავადაა გადმოცემული პირებისა და გარიგების მნიშვნელობა და სახეები.

ნ. მოწონელიძის სტატია „ექიმის პროფესიული დაზღვევის თავისებურებანი - შედარებითსამართლებრივი ანალიზი“ (2019), რომელიც ეხება პროფესიულ პასუხისმგებლობას და პასუხისმგებლობის დაზღვევის მნიშვნელობას.

2. დაზღვევის არსი

ადამიანი, კაცობრიობის განვითარების, ტექნოლოგიური მიღწევებისა და აზროვნების გაფართოების მიუხედავად, არ განსხვავდება იმ სუბიექტებისაგან, რომლებმაც თავდაპირველი ბიძგი მისცეს წესების ჩამოყალიბებას და მათ გავრცელებას თავისივე სახეობების წარმომადგენლებზე. წესრიგის ჩამოყალიბება განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით, მათ შორის აღსანიშნავია, საკუთრების უფლების ძალმომრეობითი ხელყოფა. ოდითგანვე, საკუთრების დაკარგვას, განადგურებასა თუ დაზიანებას უარყოფითი გავლენები და მორალური, სულიერი ტკივილი მოჰყვებოდა. ამ შედეგის თავიდან აცილებაზე ან შემსუბუქებაზე ზრუნავს თანამედროვე ადამიანი¹¹. მსგავსი უარყოფითი შედეგებისაგან თავის დასაცავად გამოიყენება დაზღვევა, რაც გულისხმობს მზღვეველის მხრიდან სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკი აღებას საკუთარ თავზე გარკვეული ოდენობის პრემიის სანაცვლოდ. დაზღვევის მიზანია განაწილდეს რისკები, რომლებიც დაკავშირებულია მოულოდნელ მომავალ მოვლენებთან¹² და უზრუნველყოს დაზღვეულისათვის ზიანის ანაზღაურება¹³.

დაზღვევის ხელშეკრულების თითოეულ მხარეს თავისი ინტერესები და მიზნები ამოძრავებს. დაზღვეული ცდილობს დაიცვას საკუთარი თავი რისკებისგან¹⁴, ხოლო მზღვეველს ამოძრავებს მოგების მიღების მიზანი სადაზღვევო პრემიის სახით. ეს უკანასკნელი არის წინასწარ

¹¹ აქვე უნდა აღინიშნოს, მართალია იურიდიული პირი ცოცხალი ორგანიზმი არაა და იგი ასეთად მხოლოდ იურიდიული ფიქციის მეშვეობით იქცევა. მას არ გააჩნია ადამიანის ნიშან-თვისებები, თუმცა მის უკან დგას პარტნიორები, ადამიანები, რომლებმაც განსაზღვრული მიზნით შექმნეს იგი. ასეთი სუბიექტის ქონების შემცირება, თუნდაც ეს გამოწვეული იყოს ქონებრივი პასუხისმგებლობით, არაპირდაპირ აისახება და მოქმედებს ფიზიკურ პირებზე, მათ შორის, იურიდიულ პირში დასაქმებულ ადამიანებზე.

¹² Aleatra P. Williams, INSURERS' RIGHTS OF SUBROGATION AGAINST TENANTS: THE BEGOTTEN UNION BETWEEN EQUITY AND HER BELOVED, 2007, 568

¹³ შდრ. Ray Hodgkin, Insurance Law, Text and materials, Second edition, 2002, 55

¹⁴ შდრ. Babiker Ahmed, Some Aspects of the Doctrine of Subrogation in Insurance law, 2006, 15-16

განსაზღვრული ოდენობის თანხა. რაც უფრო მეტი რისკია დაზღვეული ან არსებობს მეტი შანსი სადაზღვევო რისკის რეალიზების ანუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის, მით უფრო იზრდება სადაზღვევო პრემიის ოდენობა. თუმცა, სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო პრემიის მიღება მხოლოდ მოგების მიღების მიზნით არ შემოიფარგლება¹⁵. სადაზღვევო პრემია წარმოადგენს მზღვეველის მიერ გაწეული მომსახურების ფარგლებში რისკის ტარების ღირებულებას¹⁶. სწორედ ასეთი რისკის გამო სადაზღვევო ურთიერთობას სარისკო ურთიერთობასაც უწოდებენ, ვინაიდან მზღვეველისა და დამზღვევის ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება დამოკიდებულია სადაზღვევო მოვლენის დადგომასთან¹⁷. ამდენად, შეგვიძლია განვსაზღვროთ დაზღვევის ცნება. დაზღვევა არის სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც მყარდება გარკვეული გარემოებების დადგომისას, ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი ქონებრივი ინტერესების დასაცავად, სადაზღვევო შენატანით ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე¹⁸.

2.1 დაზღვევის სუბიექტი და ობიექტი

დაზღვევის განხორციელებისათვის საჭიროა მინიმუმ, ორი მხარის არსებობა (მზღვეველი და დამზღვევი)¹⁹. დამზღვევი შეიძლება იყოს, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რომელიც აზღვევს ქონებას, სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ხოლო მზღვეველი არის იურიდიული პირი, რომელიც ჩამოყალიბებულია ორგანიზაციულ-სამართლებრივი

¹⁵ ქ.ირემაშვილი, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 21

¹⁶ იქვე, 21

¹⁷ ქეცბაია ე, დაზღვევის სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტი, მართლმსაჯულება და კანონი N4(43), 85

¹⁸ იქვე, 84

¹⁹ ქეცბაია ე, დაზღვევის სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტი, მართლმსაჯულება და კანონი N4(43), 84

ფორმით და გააჩნია ლიცენზია სადაზღვევო საქმიანობისათვის²⁰. მზღვეველი, დაზღვევის ხელშეკრულების შესაბამისად, თავის თავზე იღებს რისკს და გარკვეული საზღაურით ფორმირებული ფონდების ხარჯზე ანაზღაურებს იმ ზარალს, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით დადგა სადაზღვევო შემთხვევის დროს²¹. სადაზღვევო კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა შეიძლება იყოს მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება²². საქართველოს კანონმდებლობით სადაზღვევო კომპანიებს არ ეკრძალებათ სხვა საქმიანობის განხორციელება. აღნიშნული აკრძალვა შემოღება მნიშვნელოვანია, რათა დამზღვევისათვის ზიანის ანაზღაურება უზრუნველყოფილი იყოს²³.

გარდა მზღვეველისა და დამზღვევისა სადაზღვევო ურთიერთობის მონაწილე მხარედ შესაძლოა წარმოდგენილ იქნას, დაზღვეული - პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა და რომლის ინტერესიც წარმოადგენს დაზღვევის ობიექტს²⁴. სადაზღვევო ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილეა მოსარგებლე (სარგებლის მიმღები პირი) - იგი გახლავთ მესამე პირი, რომლის სასარგებლოდაც ხდება დაზღვევის ხელშეკრულების დადება და რომელიც მიიღებს სადაზღვევო ანაზღაურებას²⁵. აქვე უნდა აღინიშნოს, თუ სარგებელს სადაზღვევო ხელშეკრულებიდან მესამე პირი იღებს, სადაზღვევო ხელშეკრულების მხარედ მაინც დამზღვევი რჩება²⁶.

დაზღვევის ობიექტი არის სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც იცავს დაზღვევის ხელშეკრულება²⁷. ობიექტი შესაძლოა იყოს, როგორც ქონება,

²⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, ლ.ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 107

²¹ ქეცბაია ე, დაზღვევის სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტი, მართლმსაჯულება და კანონი N4(43), 86

²² იქვე, 87

²³ შდრ. Babiker Ahmed, Some Aspects of the Doctrine of Subrogation in Insurance law, 2006, 31

²⁴ ნ. კვარაცხელია, სუბროგაცია სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 22

²⁵ იქვე, 22

²⁶ ქეცბაია ე, დაზღვევის სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტი, მართლმსაჯულება და კანონი N4(43), 88

²⁷ შდრ. ქ.ირემაშვილი, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 27

ისე პირის ჯანმრთელობა და სიცოცხლე. მართალია, მათი ამ უკანასკნელს ღირებულება არ გააჩნია, თუმცა ასეთ დროს ხელშეკრულების მიზანი მიიღწევა დაზღვევის კმაყოფაზე მყოფი პირების მატერიალური უზრუნველყოფით²⁸. რაც შეეხება მორალურ თუ ესთეტიკურ განცდებს, მათი დაზღვევის ობიექტად განხილვა პრობლემურია ზიანისა და, შესაბამისად, სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის თვალსაზრისით²⁹. მატერიალური ზიანისგან განსხვავებით, მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრა ობიექტურად შეუძლებელია³⁰.

2.3. სადაზღვევო ინტერესი

მართალია, სამოქალაქო კოდექსი დაზღვევის მომწესრიგებელ ნორმებში არ უთითებს სადაზღვევო ინტერესის არსებობაზე, როგორც ხელშეკრულების არსებით პირობაზე, თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ მისი არსებობა აუცილებელია. სადაზღვევო ინტერესი გულისხმობს ისეთ ინტერესს, რომელიც დაცულია დაზღვევის ხელშეკრულებით³¹. სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის მიზნებად განიხილება, ერთი მხრივ, დაზღვევის ხელშეკრულების მხარეებს შორის კეთილსინდისიერი ურთიერთობების ჩამოყალიბება, ხოლო, მეორე მხრივ, საჯარო წესრიგის დაცვა³². „სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა აქტუალურია როგორც დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების, ისე სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობების განსაზღვრის თვალსაზრისით. გარდა ამისა, სადაზღვევო ინტერესის დოქტრინის ანალიზი დაზღვევის ხელშეკრულების მხარეთა

²⁸ შდრ. იქვე, 28

²⁹ იქვე, 28

³⁰ იქვე, 28

³¹ V Prashanth, NECESSITY OF INSURABLE INTEREST IN INSURANCE CONTRACTS, 1, ნაშრომიდან: KSN Murthy & Dr.KVS Sarma “Modern Law of Insurance” 4th Edn. Butterworths. 59

³² ე.ირემაშვილი, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 86, ნაშრომიდან: Loshi J., 4

კეთილსინდისიერი ქცევის განმსაზღვრელი კრიტერიუმების ჩამოყალიბების შესაძლებლობებს იძლევა³³.

სადაზღვევო ინტერესის მიზნის გათვალისწინებით, ხელშეკრულების დადების ეტაპზე მისი არარსებობა ხელშეკრულების ნამდვილობის შემაფერხებელ გარემოებად უნდა იქნეს განხილული³⁴. სადაზღვევო ინტერესი ორი ტიპისაა - სახელშეკრულებო და ნორმატიული³⁵. კანონისმიერი სადაზღვევო ინტერესი, როგორც წესი, სავალდებულო სადაზღვევო ურთიერთობებშია მოცემული. სადაზღვევო ინტერესს უნდა ჰქონდეს მატერიალური ღირებულება, ანუ ის უნდა შეფასდეს ფულის თვალსაზრისით³⁶.

დაზღვევის ხელშეკრულება არის ზიანის ანაზღაურებადი კონტრაქტი, რომელიც დაფუძნებულია "Uberrima fides" და დაზღვეული ინტერესის პრინციპებზე³⁷. დამზღვევის მიერ დაზღვევის ობიექტის მიმართ არაკეთილსინდისიერი ქცევის განხორციელების საფრთხე ობიექტურად განაპირობებს სადაზღვევო ინტერესის მოთხოვნის დაწესების აუცილებლობას³⁸. აუცილებელია, სადავოობის შემთხვევაში სწორად გადანაწილდეს მტკიცების ტვირთი. ხელშეკრულების დადებისას ივარაუდება, რომ თითოეული მხარე კეთილსინდისიერად შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. მატერიალურ სამართალში მტკიცების ტვირთის გადანაწილებას ემსახურება პრეზუმციების არსებობა. „პრეზუმფცია, ე.წ. დადასტურებული ვარაუდია და არსებობს იქამდე, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება“³⁹. იგი წარმოადგენს კონკრეტული შემთხვევების (ფაქტების) განზოგადებულ დასკვნას⁴⁰. „მაგალითისათვის,

³³ იქვე, 85

³⁴ იქვე, 87

³⁵ V Prashanth, NECESSITY OF INSURABLE INTEREST IN INSURANCE CONTRACTS, 2

³⁶ იქვე, 2

³⁷ იქვე, 1

³⁸ ქ.ირემაშვილი, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 17

³⁹ ქ.მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბილისი, 2020, 172

⁴⁰ იქვე, 172

ერთი და იგივე ფაქტი, თუ დიდი ხნის განმავლობაში ერთსა და იმავე შედეგს იძლევა, ფაქტს ლოგიკურად აღნიშნული შედეგი მოყვება“⁴¹. სადაზღვევო ურთიერთობების უმრავლეს შემთხვევაში სადავო არაა დაზღვევის ინტერესის არსებობა. ამიტომაც, მისი არსებობა პრეზუმირებული უნდა იყოს და საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მზღვეველს დაეკისროს⁴². საბოლოოდ, სადაზღვევო ინტერესის არსის განსაზღვრა ცალკეულ საქმეზე კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებასა და მათ დაზღვევის პრინციპებთან შესაბამისობის ანალიზს მოითხოვს⁴³.

სადაზღვევო ინტერესის არსებობა უნდა შემოწმდეს სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენის ეტაპზე⁴⁴. აღნიშნული ისეთ შემთხვევას გულისხმობს, როდესაც ხელშეკრულების დადებისას დამზღვევეს გააჩნდა, თუმცა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაეკარგა ინტერესი დაზღვევის ობიექტის მიმართ⁴⁵. სადაზღვევო ინტერესის არარსებობის პირობებში მიიჩნევა, რომ დამზღვევი არ განიცდის ზიანს⁴⁶. ამდენად, სადაზღვევო ინტერესის არსებობა სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობას წარმოადგენს⁴⁷.

2.3. დამზღვევის ვალდებულება

სადაზღვევო ურთიერთობა დაფუძნებულია ნდობაზე. ხელშეკრულების ორივე მხარეს აქვს განსაკუთრებული ურთიერთობა, რაც წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებებიდანვე იწყება. დამზღვევის ვალდებულებას, გარდა სადაზღვევო პრემიისა, შეადგენს სწორი ინფორმაციის მიწოდება მთელი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში.

⁴¹ იქვე, 172

⁴² შდრ. Clarke M, English Insurance Contract Law, 2016, 11

⁴³ ქ.ირემაშვილი, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 87

⁴⁴ იქვე, 87

⁴⁵ იქვე, 87

⁴⁶ იქვე, 87

⁴⁷ იქვე, 89

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისთანავე დამზღვევმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს მზღვეველს. მისი ეს ვალდებულება დადგენილია სკ-ის 814-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გაგებისთანავე დამზღვევი მოვალეა აცნობოს ამის შესახებ მზღვეველს. „კანონი მკაცრად ადგენს, რომ ვალდებულება დამზღვევის მიერ უნდა შესრულდეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გაგებისთანავე. ასეთი მოწესრიგებით კანონმდებელი დამზღვევს მეტი გულისხმიერებისა და სიფრთხილისაკენ მოუწოდებს და მისგან დიდ ყურადღებას მოითხოვს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გამო. დამზღვევს უფრო მეტად მიუწვევდა ხელი დაზღვევის ობიექტზე, ვიდრემ ზღვეველს. ის დაზღვევის ობიექტზე გავლენისა და კონტროლის მეტი შესაძლებლობით სარგებლობს“⁴⁸.

დამზღვევის ამ ვალდებულებას კეთილსინდისიერების სტანდარტის დაცვა შეიძლება ვუწოდოთ. კეთილსინდისიერების მოთხოვნები ორ ჯგუფად უნდა დავყოთ: 1) მხარეთა მიერ შეთანხმებული, აშკარად გამოხატული და 2) ნაგულისხმევი წესები. პირველში მოიაზრება მხარეთა განზრახვა ხელშეკრულებით გაითვალისწინონ და მოაწესრიგონ მხარეთ ქცევის სტანდარტი. ეს წესები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლობის მოთხოვნებს. რაც შეეხება ნაგულისხმევს, ის გამომდინარეობს სამართლის ზოგადი პრინციპებიდან.

⁴⁸ ე.ირემაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 814-ე მუხლი, [file:///C:/Users/Temo/Desktop/Artikel-814%20\(1\).pdf](file:///C:/Users/Temo/Desktop/Artikel-814%20(1).pdf), [29.07.2020]

3. სუბროგაციის პრინციპი

მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაკავშირებულია სადაზღვევო რისკის რეალიზებასთან. ბრალეული პირს, რომლის ქმედებამაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომა გამოიწვია, ეკისრება პასუხისმგებლობა დამზღვევის წინაშე. დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს, როგორც მზღვეველს, ისე ზიანის მიმცენებელ პირს. სუბროგაციის არსი დამზღვევის მიერ ორმაგი ანაზღაურების მიღების პრევენციას ისახავს მიზნად⁴⁹. მას შემდეგ, რაც მზღვეველი ანაზღაურებს ზიანს, სამართლებრივ ურთიერთობაში, რომელიც დამზღვევს და ზიანის მიმცენებელ პირს შორის არსებობს, ჩაანაცვლებს კრედიტორს (დამზღვევს) და მასზე გადადის მოთხოვნის უფლება. ეს უფლება განისაზღვრება, როგორც სუბროგაციის უფლება და ემყარება ბუნებრივი სამართლიანობის პრინციპს⁵⁰. სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ზიანის მიმცენებელმა, მიუხედავად იმისა, დაზღვეულია თუ არა დაზარალებული, თავის ქმედებაზე პასუხი თანაბრად უნდა აგოს⁵¹. ამდენად, სუბროგაცია განისაზღვრება, როგორც მზღვეველის უფლება, დამზღვევის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების შემდეგ ზიანის მიმცენებლის მიმართ დააყენოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დამზღვევისათვის ანაზღაურებული თანხის ოდენობის ფარგლებში⁵².

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, სუბროგაციის დროს დამზღვევის (სუბროგანტის), როგორც დაზარალებულის, ე.ი. როგორც დელიქტური ურთიერთობის კრედიტორის ადგილს იკავებს სადაზღვევო კომპანია

⁴⁹ ქ.ირემაშვილი, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 101

⁵⁰ Babiker Ahmed, Some Aspects of the Doctrine of Subrogation in Insurance law, 2006, 41

⁵¹ ნ. მოწონელიძე, სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, თბილისი, 2016, 52

⁵² ქ.ირემაშვილი, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 101

(სუბროგატი)⁵³. მას შემდეგ, რაც მზღვეველი დაზღვეულს აუნაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეულ ზიანს, იგი აღიჭურვება უფლებით, ჩაანაცვლოს დაზღვეული პირი მესამე პირთან ურთიერთობაში და მოითხოვოს გადახდილის უკან დაბრუნება⁵⁴.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ხდება სუბროგაციის აღრევა სამართლის სხვა ინსტიტუტებთან, მაგალითად, ცესიასთან, თუმცა მთავარი განსხვავება წარმოშობის საფუძველშია. სუბროგაციის შემთხვევაში უფლების გადასვლა ხდება არა გარიგების ძალით, არამედ თავდაპირველი კრედიტორისათვის ახალი კრედიტორის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო საზღაურის გადახდის გზით⁵⁵. მოთხოვნის დათმობით არ ხდება არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის შეცვლა, არ იცვლება არც მოთხოვნა, რომელიც ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარეობს⁵⁶. ასეთ დროს ადგილი აქვს კანონისმიერ ცესიას, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 199-ე მუხლით⁵⁷.

სუბროგაცია განსხვავდება რეგრესისგანაც. მართალია, მათ შორის, არსებობს მსგავსება, რაც კრედიტორის მოთხოვნის უფლების დაკარგვაში გამოიხატება⁵⁸, თუმცა სუბროგაციას და რეგრესს შორის არსებითი განსხვავება ურთიერთობის წარმოშობის საფუძველშია⁵⁹. „რეგრესი ყოველთვის გულისხმობს ორი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას: პირველი და არსებითი არის ის ძირითადი ვალდებულება, რომელსაც ასრულებს მესამე პირი (მეორადი მოვალე),

⁵³ ამირანაშვილი გ. სუბროგაციის უფლების დაუშვებლობა, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2011, 21

⁵⁴ მოწონელიძე ნ, სუბროგაციის გამიჯვნა რეგრესისა და ცესიისაგან, სამართლის ჟურნალი, 2014 N1,160

⁵⁵ ამირანაშვილი გ. სუბროგაციის უფლების დაუშვებლობა, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2011, 21

⁵⁶ იქვე, 21

⁵⁷ შდრ. ამირანაშვილი გ. სუბროგაციის უფლების დაუშვებლობა, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2011, 21

⁵⁸ შდრ. მოწონელიძე ნ, სუბროგაციის გამიჯვნა რეგრესისა და ცესიისაგან, სამართლის ჟურნალი, 2014 N1,161

⁵⁹ იქვე,160

ხოლო მეორე დაკავშირებულია პირველ, მთავარ ვალდებულებასთან და მისი წარმოშობა უშუალო კავშირშია პირველი ვალდებულების შესრულებასთან⁶⁰. სუბროგაციის შემთხვევაში სახეზეა მხოლოდ ერთი, ძირითადი დელიქტური ურთიერთობა დაზარალებულსა და ზიანის მიმცენებელს შორის⁶¹.

„სუბროგაციისა და რეგრესის ზემოაღნიშნული განმასხვავებელი კრიტერიუმების საფუძველზე, მათ შორის იკვეთება ფორმალური განსხვავებაც, რაც ამ ორი ინსტიტუტის განსხვავებულ ხანდაზმულობის ვადაში ვლინდება“⁶². საინტერესოა საკითხი, როდის იწყება ხანდაზმულობის ვადის ათვლა სუბროგაციის შემთხვევაში. მზღვეველმა დროის ათვლა უნდა დაიწყოს არა სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის მომენტიდან, არამედ იმ დროიდან, როდესაც დაირღვა დაზღვეული პირის უფლებები და მან ამის შესახებ შეიტყო ან უნდა შეეიტყო⁶³. ე.ი. ხანდაზმულობის ვადის დენის მომენტი განისაზღვრება იმ მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობით, რომელიც წარმოშობილია დამზღვევსა და ზიანის მიმცენებელ მესამე პირს შორის. აქვე, აღსანიშნავია, დამზღვევის ვალდებულება სადაზღვევოს შემთხვევის დადგომის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს. დამზღვევის ეს ვალდებულება უპირობოდ უნდა შესრულდეს, რადგან არასაკატიო მიზეზით ინფორმაციის დროულად მიუწოდებლობის გამო, მზღვეველმა შეიძლება უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურებაზე⁶⁴.

„დაზღვევის კონტექსტში, სუბროგაციის დოქტრინა მზღვევისა და დამზღვევის ურთიერთობის ორ ძირითად ასპექტთან ასოცირდება: პირველ რიგში, იგი უფლებას აძლევს მზღვეველს, განახორციელოს და დაიცვას ის უფლებები, რომელიც დამზღვევს ზიანის მიმცენებელი მესამე პირის მიმართ აქვს; მეორე, სუბროგაციის დოქტრინა ხელს უშლის დამზღვევის

⁶⁰ იქვე,160

⁶¹ იქვე,161

⁶² იქვე,163

⁶³ იქვე,163

⁶⁴ იქვე,164

უსაფუძვლო გამდიდრებას⁶⁵. თუმცა, სუბროგაციის პრინციპის მიზანი მხოლოდ დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრების აკრძალვით არ შემოიფარგლება. სუბროგაცია არის საშუალება, რომლითაც კანონმდებელი ცდილობს აღკვეთოს დაზღვევის გადაქცევა უსაფუძვლო გამდიდრების წყაროდ ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარისათვის⁶⁶.

3.1 სუბროგაციის მიზანი

განვითარებულ ქვეყნებში სუბროგაციის ინსტიტუტის შემოღებისას, უმთავრესი მოტივი, რომლითაც კანონმდებლები ხელმძღვანელობდნენ, სადაზღვევო ურთიერთობების გამარტივება, მხარეთა უფლებების დროული და ეფექტური დაცვა და სადაზღვევო სფეროს სწრაფი განვითარების ხელშეწყობა იყო⁶⁷.

სწორედ სადაზღვევო კომპანიებისათვის სტაბილური გარემოს შექმნა, საქმიანობის შეწყვეტის რისკის შემცირება ჩამოყალიბდა სუბროგაციის პრინციპის ერთ-ერთ მიზნად⁶⁸. „სადაზღვევო კომპანიების მიერ სუბროგაციის გზით მიღებული თანხა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სარგებელი, რომელიც საბოლოოდ, კომპანიის მოგებას ზრდის. სუბროგაციის შესაბამის მიზანს, რომელიც მზღვეველისთვის არსებითი მნიშვნელობისაა, ეკონომიკური მიზანი შეიძლება ეწოდოს“⁶⁹.

სუბროგაციის პრინციპი ზიანის მიმყენებელზე ზემოქმედებით კანონდარღვევის პრევენციულ ფუნქციასაც ითავსებს. პირს ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება, რაც ერთგვარი შემაკავებელი ფაქტორია სამომავლოდ სხვა პირების მიერ დელიქტური ან სხვა ნორმის შემადგენლობის დარღვევისათვის.

⁶⁵ ნ. მოწონელიძე, სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, თბილისი, 2016, 43

⁶⁶ იქვე, 60

⁶⁷ იქვე, 34

⁶⁸ იქვე, 34

⁶⁹ იქვე, 34

გარდა პრევენციისა, მზღვეველზე მოთხოვნის უფლების გადასვლა უსაფუძვლო გამდიდრების არარსებობას ისახავს მიზნად. იგი მიიღწევა, როგორც, ამ უფლების გადასვლით, ასევე, ზიანის მიმყენებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებით. როდესაც სადაზღვევო შემთხვევა მესამე პირის მიერ არის გამოწვეული, მზღვეველის მიერ დამზღვევისთვის ზიანის ანაზღაურება არ აქარწყლებს ზიანს და მასზე საბოლოო პასუხისმგებელ სუბიექტად მესამე პირი რჩება⁷⁰.

მეცნიერები სუბროგაციის არსებობის აუცილებლობას სამართლიანობის მოთხოვნიდან გამომდინარეც ასაბუთებენ⁷¹. სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს, დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურება ზიანის მიმყენებლის ქონებაზე უნდა აისახოს⁷². „დაუშვებელია, ერთი და იგივე მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი დადგეს. სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ზიანის მიმყენებელმა, მიუხედავად იმისა, დაზღვეულია თუ არა დაზარალებული, თავის ქმედებაზე პასუხი თანაბრად უნდა აგოს“⁷³.

3.2 სუბროგაციის წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები

სუბროგაციის პრინციპი, რომლის ცნებასაც სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს, 832-ე მუხლშია განმტკიცებული. იგი მოთხოვნის უფლების მზღვეველზე გადასვლას გულისხმობს იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი ანაზღაურებული იქნება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, მოცემული ნორმა არაა მოთხოვნის საფუძველი. ასეთად უნდა მივიჩნიოთ იმ სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო დანაწესი, რომელიც არეგულირებს დამზღვევს და მესამე პირს შორის წარმოშობილ ურთიერთობას. 832-ე მუხლი ადგენს სუბროგაციის წარმოშობის

⁷⁰ იქვე, 38

⁷¹ იქვე, 38

⁷² შდრ. იქვე, 38

⁷³ იქვე, 38

წინაპირობებს და მიუთითებს კრედიტორის შეცვლაზე ისე, რომ წარმოშობილი ურთიერთობის შინაარსი არ შეიცვლება.

წარმოშობის საფუძვლის მიხედვით სუბროგაციას ყოფენ კანონისმიერ და სახელშეკრულებოდ.⁷⁴ ეს უკანასკნელი საჭიროებს მხარეთა შეთანხმებას, რომელიც შესაძლოა გამოიხატოს ან სადაზღვევო ხელშეკრულებაშივე ან მხარეები ზიანის ანაზღაურების შემდგომ შეთანხმდნენ აღნიშნულის თაობაზე⁷⁵. მნიშვნელოვანია დადგინდეს მოთხოვნის გადასვლის მომენტი და ფარგლები, მოცულობა. საკითხავია, სუბროგაციის პრინციპი მოქმედებას ზიანის ანაზღაურებისთანავე იწყებს თუ ამას სჭირდება დამატებითი შეთანხმება. როგორც ვიცით, მოთხოვნის უფლების დათმობა შესაძლოა მოხდეს, როგორც გარიგებით, ისე კანონის ძალით. ხელშეკრულების საფუძველზე მოთხოვნის გადასვლისათვის აუცილებელია ძველ და ახალ კრედიტორებს შორის კანონის შესაბამისად დადებული გარიგება. მოვალის თანხმობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება, გარდა იმ შემთხვევისა და არსებობს პატივსადები უარი ან თუ მოთხოვნის დათმობა ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს. რაც შეეხება კანონისმიერ მოთხოვნის დათმობას, ამას მხარეთა შეთანხმება არ სჭირდება. სამოქალაქო კოდექსში ამ ინსტიტუტისათვის ცალკე თავი არაა გამოყოფილი. სკ 207-ე მუხლის თანახმად, წესები უფლებებსა და მოთხოვნებზე საკუთრების შეძენის შესახებ შესაბამისად გამოიყენება იმ მოთხოვნების დათმობასთან დაკავშირებით, რომლებიც ხორციელდება კანონის ძალით.

სუბროგაციის პრინციპი უნდა გავაიგივოთ კანონისმიერ მოთხოვნის დათმობასთან. მოთხოვნის გადასვლის თაობაზე სკ-ის 832-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს. ამ პრინციპის ამოქმედების მომენტად უნდა მივიჩნიოთ მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომენტი. აღნიშნული გარემოების დადგომიდან სადაზღვევო კომპანია უკვე, კანონის ძალით, უფლებამოსილია წაუყენოს

⁷⁴ Peter M. Papasavas, THE INSURER/INSURED RELATIONSHIP IN SUBROGATION, 1999, 2-3,

⁷⁵ იქვე, 3

მოთხოვნა ზიანის მიმყენებელ მესამე პირს. თუმცა, არ უნდა უგულებელვყოთ მოვალის ინტერესები. მართალია, დამზღვევის ჩანაცვლება ავტომატურად ხდება სამართლებრივ ურთიერთობაში, მაგრამ სკ-ის მე-200 მუხლის მიხედვით, ვიდრე მოვალეს ეცნობებოდეს მოთხოვნის დათმობის შესახებ, მას უფლება აქვს შეასრულოს ვალდებულება მოთხოვნის თავდაპირველი მფლობელის წინაშე. ამდენად, აუცილებელია მოვალის ინფორმირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძველი კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულება ათავისუფლებს მას ზიანის ანაზღაურებისაგან. თუ შესრულება განხორციელდება დამზღვევის მიმართ, უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად მზღვეველმა მისგან უნდა მოითხოვოს გადახდილი თანხის დაბრუნება. რაც შეეხება მოვალის ინფორმირებას, კანონი არ ზღუდავს ახალ კრედიტორს რაიმე ფორმით. ამიტომაც, დასაშვებია მოვალის გაფრთხილება ზეპირადაც. ინფორმირების ფორმის არჩევა კრედიტორის მხარეს არსებული რისკია, ვინაიდან დავის შემთხვევაში სწორედ მას ეკისრება ამ გარემოების მტკიცების ტვირთი.

სუბროგაციის პრინციპის გამოყენებისას აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს რა ფარგლებში ხდება მოთხოვნის გადასვლა. კანონმდებელმა განზრახ შეიკავა თავი მისი მარეგულირებელი წესების წინასწარ დადგენისაგან. სადაზღვევო ურთიერთობები ხასიათდება განსაკუთრებული სპეციფიკით. თითოეულ შემთხვევას სჭირდება ინდივიდუალური მიდგომა. ამიტომაც, ამ საკითხის გადაწყვეტა სასამართლოებს აქვთ მინდობილი. სრულიად სამართლიანია მოსაზრება, რომ დამზღვევის კომპენსირების დროს ყურადღება უნდა მიექცეს არა სადაზღვევო ხელშეკრულების ზოგად არსს, არამედ ინდივიდუალურ სადაზღვევო ხელშეკრულებას, რომელიც მზღვეველსა და დამზღვევს შორის არის დადებული⁷⁶. აქვე აღსანიშნავია, რომ „გადაწყვეტილების მიღებისას, სამართალშემფარდებელმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს სამი უმთავრესი მოთხოვნა: მან უნდა დაიცვას დამზღვევის ინტერესი,

⁷⁶ ნ. მოწონელიძე, სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, თბილისი, 2016, 118

გაითვალისწინოს ინდივიდუალური სადაზღვევო ხელშეკრულების თავისებურება და არ დაუშვას დამზღვევის უსაფუძვლო გამდიდრება“⁷⁷.

3.3 საოჯახო პრივილეგია

საოჯახო პრივილეგია გულისხმობს დამზღვევის ოჯახის წევრების დაცვას სუბროგაციის პრინციპისაგან. სკ-ის 832.2-ე მუხლის მიხედვით, თუ დამზღვევის უფლება ზიანის ანაზღაურების თაობაზე ეხება მასთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებს, მაშინ უფლების გადასვლა გამორიცხულია, როცა ოჯახის წევრმა ზიანი განზრახ გამოიწვია. კანონმდებლის მიზანია, საოჯახო პრივილეგიის შემოღებით თავიდან აიცილოს დამზღვევი პირის პასუხისმგებლობა იმ ზიანის ანაზღაურებისათვის, რომლის უზრუნველსაყოფადაც იგი სადაზღვევო პრემიას იხდიდა⁷⁸.

უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ოჯახის ცნება. საქართველოს კანონმდებლობას არ აქვს ერთიანი მიდგომა ამ ტერმინისადმი. იმისდა მიხედვით, რა მიზანი ამოძრავებს სამართლის ამა თუ იმ ნორმებს, ოჯახი სხვადასხვა სამართლებრივ აქტში სხვადასხვაგვარად განიმარტება. ოჯახის და ოჯახს მიკუთვნებული პირთა წრის განმარტებისას, ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხი იმ კრიტერიუმების დადგენაა, რომელიც დამზღვევის ოჯახისადმი პირის კუთვნილებას განსაზღვრავს⁷⁹.

ამიტომაც, უნდა შემუშავდეს წინაპირობები, რომლითაც ოჯახის ცნება განმარტება სკ-ის 832-ე მუხლის შესაბამისად.

„სუბროგაციული მოთხოვნის შეზღუდვას ორი მიზანი აქვს: დამზღვევი უნდა გათავისუფლდეს იმ ფინანსური ტვირთისაგან, რაც მისი ოჯახის წევრის მიმართ მზღვეველის სუბროგაციული მოთხოვნის განხორციელებას შეიძლება მოჰყვეს და მეორე, ზიანის ანაზღაურების თაობაზე ოჯახის

⁷⁷ იქვე, 119

⁷⁸ ნ. მოწონელიძე, სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, თბილისი, 2016, 63

⁷⁹ იქვე, 64

წევრთა შორის კონფლიქტის არიდების გზით, უნდა შენარჩუნდეს საოჯახო მშვიდობა⁸⁰.

სკ-ის 832-ე მუხლი გამორიცხავს სუბროგაციის პრინციპის გამოყენებას იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანის მიმყენებელი დამზღვევთან მცხოვრები ოჯახის წევრია. აქ საუბარია არა მხოლოდ ოჯახის წევრზე, არამედ იგი უნდა ცხოვრობდეს და ეწოდეს საერთო სამეურნეო საქმიანობას დამზღვევთან ერთად. ამიტომაც, მართებული არ იქნება საოჯახო პრივილეგიის იმ პირებზე გავრცელება, რომლებიც ოჯახის წევრები არიან, მაგრამ არ ცხოვრობენ ერთად. ასევე, ერთად მცხოვრებ პირებზე თუ ისინი საერთო სამეურნეო საქმიანობით არ არიან დაკავებულნი. ამოსავალი წერტილი სამეურნეო საქმიანობაა, რადგან სუბროგაციის პრინციპის გამოყენება დამზღვევს ფინანსურ ტვირთად არ დააწევს. აღნიშნულის გათვალისწინებით, თუ მიზნობრივად განვმარტავთ მოცემულ ნორმას, ერთდ მცხოვრებ ოჯახის წევრებში არ უნდა მოვიაზროთ მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, არამედ „სამოქალაქო ქორწინებაში“ მყოფი სუბიექტებიც, მათ შორის, ლგბტ თემის წარმომადგენლებიც.

რა უნდა ჩაითვალოს ერთობლივ სამეურნეო საქმიანობად და რა ხანგრძლივობის უნდა იყოს იგი? ოჯახის ცნებიდან, სკ-ის 832-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, უნდა ამოირიცხოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდგომ მყოფი თანამცხოვრები პირები, რათა დაზღვეულმა და ზიანის გამომწვევმა პირმა მოგვიანებით არ მოახდინონ მანიპულირება და სუბროგაციის გამომრიცხავი გარემოება ხელოვნურად არ შექმნან⁸¹.

⁸⁰ იქვე, 67, შემდგომი მითითება - von Koppenfels-Spies, in: Looschelders/Pohlmann, VVG Versicherungsvertragsgesetz, Kommentar, 2. Auflage, 2011, Vorbemerkung, § 86, Rn. 65.

⁸¹ იქვე, 74, შემდგომი მითითება - Sieg, in: Bruck/Möller, Kommentar zum Versicherungsvertragsgesetz und zu den Allgemeinen Versicherungsbedingungen unter Einschluss des Versicherungsvermittlers, 8. Aufl., 1961, §67, Anm. 107

4. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა

დაზღვევის ერთ-ერთ სახეს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს ქონების და პირად დაზღვევას, იმისდა მიხედვით, რა სამართლებრივი სიკეთეა დაზღვეული. დაზღვევის სახეებად დაყოფის კლასიკურ კრიტერიუმს წარმოადგენს კლასიფიკაცია ობიექტის მიხედვით⁸². სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში დაზღვევის ობიექტი დამზღვევის ქონებრივ ვალდებულებებს უკავშირდება⁸³. „ამ თვალსაზრისით, სსკ-ის ერთიან სისტემაში აღნიშნული ინსტიტუტი ქონების დაზღვევის განუყოფელ ნაწილად განიხილება. თუმცა, გასათვალისწინებელია ის თავისებურებები, რომლებიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას განასხვავებს დაზღვევის სხვა სახეებისგან“⁸⁴.

სადაზღვევო შემთხვევის დადგომა განპირობებულია სადაზღვევო რისკის რეალიზებით. მზღვეველი წინასწარ განსაზღვრული ოდენობის სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ თანხმდება ამ რისკის საკუთარ თავზე აღებაზე. სადაზღვევო ხელშეკრულებაში სადაზღვევო რისკი ფაქტობრივი გარემოებების სახითაა მოცემული. ამ ფაქტობრივი გარემოებების დადგომა, როგორც წესი, გარეშე პირობებზეა დამოკიდებული. თუმცა, პასუხისმგებლობის დაზღვევას ახასიათებს თავისებურობა, რომელიც გამონაკლისადაა მიჩნეული. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას სადაზღვევო რისკის რეალიზაცია დამზღვევის გავლენის სფეროშია მოქცეული⁸⁵. ამ გარემოების გათვალისწინებით, სადაზღვევო პრემიის ოდენობაც უფრო მაღალია, ვიდრე დაზღვევის სხვა სახეებისათვის არის განსაზღვრული.

⁸² იქვე, 44, ნაშრომიდან - Jerry R., Richmond D., 57.

⁸³ იქვე, 45

⁸⁴ იქვე, 45

⁸⁵ იქვე, 114

სადაზღვევო რისკის რეალიზაციის დამზღვევის ქმედებასთან მიზმა, ავალდებულებს მას იმოქმედოს გონივრული წინდახედულებით, სიფრთხილით და არა დაუდევრად. მართალია, სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლისას ყოველი მხარე ერთმანეთისაგან კეთილსინდისიერ ქცევას მოელის, მაგრამ ასეთი რისკის გაწევას ზოგიერთ შემთხვევაში ხელშეკრულებითვე ზღუდავენ. იქ, სადაც მხარის არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელების რისკი საკმაოდ მაღალია, (არ აქვს მნიშვნელობა რა მიზნით და მოტივაციით ხდება) თავად კანონმდებელი აფრთხილებს ხელშეკრულების მხარეს და ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან. ასეთ შემთხვევაში, მოვალეს შეუძლია ვალდებულება არ შეასრულოს. ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ სკ-ის 842⁸⁶-ე მუხლი. მოცემულ ნორმაში არაა პირდაპირი მითითება განზრახვასა თუ გაუფრთხილებლობაზე, მაგრამ მიზნობრივი განმარტებით მსგავს შედეგამდე მივალთ. მუხლის მიზანი კი დამზღვევის არაკეთილსინდისიერი ქმედების აკრძალვა და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მზღვეველის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება⁸⁷.

„დღესდღეობით პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების კვალიფიკაცია, როგორც მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, ერთხმად არის აღიარებული“.⁸⁸ მართალია, ზედაპირული განხილვისას შესაძლოა მათ იდენტურობაში ეჭვი არ შეგვეპაროს, მაგრამ რეალურად ამ ორ ხელშეკრულებას შორის უფრო მეტი განსხვავებაა, ვიდრე მსგავსება. „მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, მესამე პირები სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში ჩართულნი არიან მათი ნების გამოვლენის გარეშე. ზოგჯერ ისინი ინფორმაციასაც კი არ ფლობენ იმის შესახებ, რომ მათ სასარგებლოდ

⁸⁶ მზღვეველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დამზღვევმა შეგნებულად გამოიწვია იმ გარემოების წარმოშობა, რისთვისაც მას ეკისრება პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე

⁸⁷ შდრ. ქ.ირემაშვილი, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 114

⁸⁸ მოწონელიძე ნ, ექიმის პროფესიული დაზღვევის თავისებურებანი - შედარებითსამართლებრივი ანალიზი, სამართლის ჟურნალი N1, 2019, 80

დადებულ იქნა ხელშეკრულება⁸⁹. დაზღვევის ხელშეკრულებაში პირი, რომელსაც ზიანი მიადგა, არაა ხელშეკრულების მხარე. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა გულისხმობს პასუხისმგებლობის დაზღვევას არა რომელიმე კონკრეტული პირისადმი, არამედ ზოგადად. ამასთან, გასათვალისწინებელია, სარგებლის მიმღებია თავად დამზღვევია, რადგან იზღვევა არა მესამე პირის ინტერესი, არამედ დამზღვევის ან დაზღვეულის ინტერესი, რაც პასუხისმგებლობის რისკის სადაზღვევო კომპანიაზე გადატანაში გამოიხატება⁹⁰.

4.1. სამოქალაქო პასუხისმგებლობის სადაზღვევო ინტერესი

ყველა ხელშეკრულება იდება განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, რომელსაც მხარეები წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებებისას ამჟღავნებენ. სახელშეკრულებო ურთიერთობის არსიც ესაა. გარიგების თითოეულ მხარეს სახელშეკრულებო თვითბოჭვის გარკვეული მოტივები გააჩნია. კანონმდებელი სამოქალაქო კოდექსში არ უთითებს რომელი გარიგებით რა მიზანი უნდა იქნეს მიღწეული, რადგან ეს უშუალოდ მხარეების უფლებამოსილებაა, რაც კერძო ავტონომიაში ჰპოვებს გამოხატულებას.

სადაზღვევო ურთიერთობის დანიშნულებაა სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი რისკების სადაზღვევო კომპანიისათვის გადანაწილება. მართალია, სადაზღვევო ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებში არაა ნახსენები სადაზღვევო ინტერესის შესახებ, მაგრამ იგი შეადგენს ხელშეკრულების არსებით პირობას, რომლის არარსებობაც იწვევს მის ბათილობას. ასეთი მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ იგი ხელშეკრულების მხარეთა კეთილსინდისიერი ქცევის განმსაზღვრელი კრიტერიუმების ჩამოყალიბების შესაძლებლობებს იძლევა⁹¹. როგორ

⁸⁹ სახელშეკრულებო სამართალი, გ.ჯუღელის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 214

⁹⁰ შდრ. მოწონელიძე ნ, ექიმის პროფესიული დაზღვევის თავისებურებანი - შედარებითსამართლებრივი ანალიზი, სამართლის ჟურნალი N1, 2019, 80

⁹¹ ქ.ირემაშვილი, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 85

შეიძლება დამზღვევმა ბოროტად ისარგებლოს სადაზღვევო ურთიერთობით სადაზღვევო ინტერესის არარსებობისას? მაგალითისათვის რომ ავიღოთ, პირმა დააზღვია სატრანსპორტო საშუალება 10 000 ლარად. მიუხედავად მისი მაღალი საბაზრო ღირებულებისა, არაა გამორიცხული თავისი საკუთრების მიმართ არ ჰქონდეს ისეთი დამოკიდებულება, როგორც ახასიათებს მესაკუთრეთა უმეტესობას. თანხის მიღების მიზნით, იგი განზრახ მოახდენს ავტოსაგზაო შემთხვევას და მზღვეველს მოსთხოვს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ასეთი შემთხვევები არცთუ ისე იშვიათია. თუ მესაკუთრის განზრახვა დადგინდება, დადგება მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. სადაზღვევო კომპანია კი უარს განაცხადებს ავტომანქანის შეკეთებაზე. სასამართლო პრაქტიკამ ასეთ დავებზე პასუხები უნდა გასცეს ისეთ კითხვებს, როგორიცაა, გამორიცხავს თუ არა სადაზღვევო ინტერესის არარსებობა ზიანის ფაქტს, რა სტანდარტი უნდა იყოს დადგენილი და როგორ უნდა განაწილდეს მტკიცების ტვირთი. პირველ კითხვაზე პასუხი დადებითი იქნება. პირი, რომელიც საკუთრებას განზრახ აზიანებს, სულერთია სამართლებრივად თუ ფიზიკურად რა ბედი ეწევა, არ შეიძლება მისი დაზიანებით თუ განადგურებით ზიანი მიადგეს მას. რაც შეეხება მტკიცების სტანდარტს, დამზღვევის ბოროტი განზრახვით მოქმედება გამოიწვევს მტკიცების ტვირთის დამზღვევზე გადასვლას. უფრო მართებული იქნება, თუ მას პრეზუმციის ხარისხში ავიყვანთ და მესაკუთრის მსგავსი ქმედებით უკვე სავარაუდო გახდება სადაზღვევო ინტერესის არარსებობა. პრეზუმციის გაქარწყლების ვალდებულება კი დამზღვევის მხარეს იქნება. ბუნებრივია, წინასწარ დადგენილი ვერ იქნება, თუ რომელი მტკიცებულება იქნება სამართლებრივად ვარგისი, მაგრამ ეს უნდა იყოს ისეთი წონადი, რომ მოსამართლეს შეუქმნეს შინაგანი რწმენა სადაზღვევო ინტერესის არსებობის თაობაზე. მსგავს მტკიცებულებად შესაძლოა მივიჩნიოთ ხარჯების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტები.

4.2. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანი

პასუხისმგებლობის დაზღვევის რამდენიმე სახე არსებობს: 1) დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევა; 2) საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა; 3) წუნდებული პროდუქტის პასუხისმგებლობის დაზღვევა; 4) პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა; 5) პირადი პასუხისმგებლობის დაზღვევა; 6) მესაკუთრის პასუხისმგებლობის დაზღვევა⁹². მათი კლასიფიკაცია მხოლოდ თეორიული მნიშვნელობისაა. პრაქტიკაში პასუხისმგებლობის დაზღვევის ყველა სახის მიმართ ვრცელდება ზოგადად მისთვის დამახასიათებელი პრინციპები და მარეგულირებელი ნორმები. პასუხისმგებლობის დაზღვევის ის სახე, რომელიც ბიზნეს საქმიანობისათვის არის დამახასიათებელი, უფრო მეტ რისკს შეიცავს. ამიტომაც, იმის გათვალისწინებით, რომელ დაზღვევაზე შეთანხმდებიან მხარეები, სადაზღვევო პრემიის ოდენობაც შესაბამისად განისაზღვრება.

პასუხისმგებლობის დაზღვევა ზიანის დაზღვევის განსაკუთრებული ფორმაა⁹³. ობიექტის მიხედვით დაზღვევის სახეების დაყოფის შედეგად იგი ზიანის დაზღვევას განეკუთვნება. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, როგორც ზემოთ აღინიშნა, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. თუ დაზღვევის სახეების შემთხვევაში თავად დამზღვევისათვის ხდება ზიანის მიყენება და მისი ანაზღაურება, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ზიანი ადგება მესამე პირის ქონებას, სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას⁹⁴. „სწორედ სამი პირის ურთიერთობაშია პასუხისმგებლობის დაზღვევის თავისებურება. კერძოდ, პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი კისრულობს

⁹² J. Van Jaarsveld, F. J. Mostert, J.H. Mostert, THE CLAIMS HANDLING PROCESS OF LIABILITY INSURANCE IN SOUTH AFRICA, 2015, 134

⁹³ ნ. მოწონელიძე, სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, თბილისი, 2015,93

⁹⁴ ქ.ირემაშვილი, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 45

ვალდებულებას, დამზღვევი მესამე პირის დასაბუთებული თუ დაუსაბუთებელი მოთხოვნებისაგან დაიცვას⁹⁵. „საინტერესოა გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრება, რომ, თავდაპირველად, პასუხისმგებლობის დაზღვევის არსი, დამზღვევის ინტერესის დაცვა იყო. თუმცა დაზღვევის ამ სახის განვითარებასთან ერთად, შეიცვალა მისი მიზანი და მესამე პირის ინტერესის დაცვა გახდა პრიორიტეტული“⁹⁶. შესაბამისად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანია გაათავისუფლოს დამზღვევის მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობისაგან და უზრუნველყოს მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება⁹⁷.

საინტერესოა საკითხი, ზიანის ცნებაში რეალური ზიანის გარდა, უნდა მოვიაზროთ თუ არა, არამატერიალური ზიანი. მორალური ზიანის ქონებრივი შეფასება რთულია, რადგან იგი მატერიალურად არ ვლინდება და არ გააჩნია ქონებრივი ეკვივალენტი⁹⁸, თუმცა მისი „სამართლებრივი შეფასება და შინაარსის დაზუსტება ხდება სამართლის, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიისა და მედიცინის მიღწევების გათვალისწინებით“⁹⁹. სამოქალაქო კოდექსი, გერმანული სამართლის მსგავსად, არეგულირებს მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლებს. კერძოდ, სკ-ის 413.1-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დასაშვებად მიიჩნევს არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას.

⁹⁵ ნ. მოწონელიძე, სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, თბილისი, 2015, 94

⁹⁶ მოწონელიძე ნ, ექიმის პროფესიული დაზღვევის თავისებურებანი - შედარებითსამართლებრივი ანალიზი, სამართლის ჟურნალი N1, 2019, 80, ნაშრომიდან - Schneider W., in: Beckmann R. M., Matusche-Beckmann A., Versicherungsrechts-Handbuch, 2 Aufl., München, 2009, §24, Rn.

⁹⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, ლ.ქანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2001, 162

⁹⁸ შდრ. სახელშეკრულებო სამართალი, გ.ჯუღელის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 665

⁹⁹ იქვე, 665

„საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამართლებრივ დაცვას იმსახურებს არა მხოლოდ ფიზიკური ჯანმრთელობა, არამედ ადამიანის სულიერი წონასწორობაც“¹⁰⁰. ამიტომაც, დაცვის ღირსი ინტერესი პირს გააჩნია მისი სახელის, პატივისა და ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შეზღავნების გამო.

4.3. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის და მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების ურთიერთმიმართება

მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება, როგორც წესი, ორმხრივ უფლება-მოვალეობებს წარმოშობს იმ პირებს შორის, რომლებიც გარიგების უშუალო მხარეები არიან, რაც განპირობებულია კერძო ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპით. დაუშვებელია პირს დაეკისროს სახელშეკრულებო ვალდებულება მისი ნების გარეშე. თუმცა, გამონაკლისი აქაც დაიშვება. პირი შესაძლოა ჩართული იყოს ხელშეკრულებაში, მაგრამ მხოლოდ სარგებლის მიღების პირობით. „მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, მესამე პირები სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში ჩართულნი არიან მათი ნების გარეშე. ზოგჯერ ისინი ინფორმაციასაც კი არ ფლობენ იმის შესახებ, რომ მათ სასარგებლოდ დადებულ იქნა ხელშეკრულება“¹⁰¹. ამიტომაც, ასეთ დროს ხდება პირის ისეთი ჩართვა, რაც მისთვის მხოლოდ სარგებლის მომტანია და რაიმე სახის ვალდებულება არ ეკისრება. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების არსი იმაში გამოიხატება, რომ შეპირების მიმღები და მოვალე მესამე პირს ანიჭებენ მოთხოვნის უფლებას¹⁰².

შესაძლოა, გარიგებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება ჰქონდეს მხოლოდ ხელშეკრულების მხარეს,

¹⁰⁰ იქვე, 666, ნაშრომიდან - Larenz, Lehrbuch des Schuldrechts, 12 Auflage, Bd II, BT, 1981, 605

¹⁰¹ იქვე, 214

¹⁰² კროფტოლერი ი., ფლორიან ი., ჰაიდენ მ., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2014, 233

კრედიტორს ან შეთანხმებისამებრ იგი გადავიდეს მესამე პირზე. ამისათვის, ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს ის, რომ მოთხოვნის უფლება აქვს მესამე პირს, ანუ პირს, ვინც ხელშეკრულების მხარეს არ წარმოადგენს, თუმცა, არაა გამორიცხული ასეთი მითითება არ არსებობდეს, მაგრამ მესამე პირის დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება ვალდებულების არსიდან გამომდინარეობდეს¹⁰³.

იმის მიხედვით, თუ რა უფლებრივი დამოკიდებულება აქვს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების მიმართ, მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებებს ორ ჯგუფად ყოფენ: ხელშეკრულებები მესამე პირთა დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე და ხელშეკრულებები მესამე პირთა დამოუკიდებელი მოთხოვნით¹⁰⁴.

ვისაც მოთხოვნის უფლება გააჩნია, მასვე შეუძლია უარი განაცხადოს მასზე. რა ხდება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში? სკ-ის 351-ე მუხლის თანახმად, თუ მესამე პირი უარს ამბობს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე, მაშინ კრედიტორს შეუძლია თვითონ მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, თუ ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. მოცემული საკანონმდებლო დანაწესი მესამე პირის უარს დასაშვებად მიიჩნევს, თუმცა, აღნიშნული შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირს გააჩნია მოთხოვნის უფლება. „მესამე პირი, რომლის სასარგებლოდაც დაიდო ხელშეკრულება, უფლებამოსილია უარი განაცხადოს ხელშეკრულებით შეძენილ უფლებაზე ისე, რომ არ დადგეს მისი პასუხისმგებლობის საკითხი. მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის სავალდებულო წინაპირობებს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, უფრო მეტიც, მესამე პირი არ არი ვალდებული დაასაბუთოს საკუთარი უარი“¹⁰⁵. აღსანიშნავია, ასეთი უარი არ იწვევს ვალდებულების შეწყვეტას და მოვალე არ თავისუფლდება მისი

¹⁰³ შდრ. სახელშეკრულებო სამართალი, გ.ჯუღელის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 215

¹⁰⁴ შდრ. ლ. ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, 214

¹⁰⁵ სახელშეკრულებო სამართალი, გ.ჯუღელის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 216

შესრულებისაგან. მესამე პირის მიერ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმისას, იგი გადადის კრედიტორზე. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საპირისპირო წესზე, კერძოდ, ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს, რომ თუ მესამე პირი უარს განაცხადებს მოთხოვნის უფლებაზე, ვალდებულება შეწყდება. იმავე შედეგი დგება, როცა თავად ვალდებულების არსიდან გამომდინარეობს სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელების დაუშვებლობა და მიზანშეუწონელობა.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა გულისხმობს სამართლის სუბიექტის მიერ სხვა პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას სადაზღვევო კომპანიის მიერ. ერთი შეხედვით, ეს ინსტიტუტი ემსგავსება და იდენტურია მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისა. თუმცა, დაუშვებელია მსგავსი აღრევა.

სკ-ის 839-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა გაათავისუფლოს დამზღვევი იმ ვალდებულებისაგან, რომელიც მას ეკისრება მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო. სწორედ მესამე პირისათვის, მისი დარღვეული უფლებებისა და ინტერესების აღდგენის გამო იქმნება საფრთხე ეს ორი სამართლებრივი ინსტიტუტი გავაიგივოთ ერთმანეთთან. განსხვავება კი არსებითი და თვალშისაცემია.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს, მართალია, „სარგებელს“ იღებს მესამე პირი, დაზარალებული, მაგრამ სადაზღვევო ხელშეკრულებაში იგი ჩართული არაა. უფრო მეტიც, კონკრეტული პირი, ვისაც ზიანი უნდა აუნაზღაურდეს, არაა განსაზღვრული. მთავარი განსხვავება ხელშეკრულების ინტერესში ვლინდება. თუ მესამე პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებაში სწორედ მისი ინტერესებია გათვალისწინებული და მის დასაცავად იდება გარიგება, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას სადაზღვევო ხელშეკრულება იდება არა დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ, არამედ,

დაზღვეული პირის ქონებრივი ინტერესების გათვალისწინებით და
პასუხისმგებლობის შესამცირებლად/გასათავისუფლებლად.

5. დამზღვევის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველი

სადაზღვევო ურთიერთობაში, როგორც წესი, დაზარალებულის როლში დამზღვევი გამოდის, რომელსაც ზიანი რისკის რეალიზებისას ადგება. სრულიად საპირისპირო შემთხვევაა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას. „პასუხისმგებლობის დაზღვევა, თავისი სამართლებრივი ბუნებით, კომპლექსურ ინსტიტუტს წარმოადგენს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პასუხისმგებლობის დაზღვევას სისტემურად ქონების (ზიანის) დაზღვევის ნაწილში აწესრიგებს. `დაზღვევის შესახებ` საქართველოს კანონი კი პასუხისმგებლობის დაზღვევას მკვეთრად მიჯნავს როგორც ქონების, ისე პირადი დაზღვევისაგან“¹⁰⁶.

დაზღვევის სხვა სახეებისაგან განსხვავებით, პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს დაზღვევის ობიექტია ქონებრივი პასუხისმგებლობა, ხოლო სადაზღვევო შემთხვევის ხელყოფის ობიექტი შეიძლება იყოს პიროვნების სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან ქონება¹⁰⁷. მას ახასიათებს გარკვეული თავისებურება რაც იმით გამოიხატება, რომ სადაზღვევო რისკის რელიზაცია დამზღვევის გავლენის სფეროშია მოქცეული¹⁰⁸.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას არეგულირებს სკ-ის 839-843 მუხლები, რომელთაგან დამზღვევის წინააღმდეგ მოთხოვნის საფუძველზე არაა მითითებული. როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთი დაზღვევით დაცულია დამზღვევის ქონებრივი ინტერესი. რა სახის პასუხისმგებლობა იქნება დაზღვეული, ეს მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული. ამიტომაც, მისი გავრცელება დასაშვებია როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობაზე.

¹⁰⁶ ქ.ირემაშვილი, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 112

¹⁰⁷ გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, `სამართალი` #10, 11, 12, 2000, 62

¹⁰⁸ ქ.ირემაშვილი, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 114

სკ-ის 839-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა გაათავისუფლოს დამზღვევი იმ ვალდებულებისაგან, რომელიც მას ეკისრება მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო. ამ ნორმის გამოყენების წინაპირობებია: 1) უნდა არსებობდეს სადაზღვევო ხელშეკრულება სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ. იგი უნდა აკმაყოფილებდეს, როგორც გარიგებისასთვის ზოგადად დადგენილ მოთხოვნებს, ასევე, სადაზღვევო ხელშეკრულებისათვის სპეციალურად განსაზღვრულ წესებს; 2) დამზღვევს მესამე პირის წინაშე უნდა გააჩნდეს ვალდებულება. როგორც ვიცით, ვალდებულება შესაძლოა წარმოშობილი იყოს გარიგების ან კანონის საფუძველზე. ვინაიდან არაა დაკონკრეტებული, ნორმის შინაარსი გავრცელდება ორივე სახის ვალდებულებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, 839-ე მუხლი ვერ იქნება იმ სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა, რომელიც არსებობს დამზღვევსა და მესამე პირს შორის. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი მათი ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით უნდა მოვიძიოთ. რაც შეეხება, 839-ე მუხლს, იგი მოთხოვნის სადამფუძნებლო ნორმად უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როდესაც დამზღვევი მზღვეველს წაუყენებს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ზიანის ანაზღაურებისაგან გათავისუფლების მოთხოვნას; 3) მესამე პირის მიმართ ვალდებულება დამზღვევს სადაზღვევო პერიოდში უნდა გააჩნდეს. დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობა შეიძლება გულისხმობდეს, როგორც ზიანს, ისე მის საფუძველზე წაყენებულ მოთხოვნას¹⁰⁹.

5.1. ზიანის ფაქტის არსებობა

ზიანის ცნებას სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს. რთულია მისი უნივერსალური დეფინიციის ჩამოყალიბება. ამიტომაც, ზოგიერთი მართლწესრიგი და მის საზღვრებში განვითარებული სასამართლო

¹⁰⁹ ქ.ირემაშვილი, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 119

პრაქტიკა საერთოდ უარს ამბობს ზიანის ზოგადი ცნების ჩამოყალიბებაზე და შემოიფარგლება მისი ცალკეული ნიშნების გამოყოფით¹¹⁰.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანი. მიუხედავად იმისა, თუ ვალდებულების წარმოშობის რომელი საფუძველი არეგულირებს მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებს, ზიანის შეიძლება სახეზე გვქონდეს¹¹¹.

სადაზღვევო ხელშეკრულებაში უნდა არსებობდეს მითითება კონკრეტულად რა სახის პასუხისმგებლობაა დაზღვეული. დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ პირის პასუხისმგებლობის დაზღვევა ზოგადად. თუმცა, ამის თაობაზეც მხარეთა შეთანხმება უნდა არსებობდეს.

იმისათვის, რომ სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდეს, პირველ რიგში თავად ზიანის არსებობის ფაქტი უნდა დადასტურდეს. ზოგადი წესის თანახმად, ზიანის არსებობის ფაქტობრივი გარემოების მტკიცების ტვირთი დაზარალებულის მხარესაა. მტკიცების ტვირთის გადანაწილება ხდება ან საპროცესოსამართლებრივი ნორმების მიხედვით ან იგი გამომდინარეობს უშუალოდ მატერიალურსამართლებრივი შინაარსის ნორმიდან. გასათვალისწინებელია, რა სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაა დაყენებული მოპასუხის მიმართ. მის შესაბამისად, შესაძლოა, მტკიცების ტვირთი შებრუნდეს და მოწინააღმდეგე მხარეს დაევალოს ზიანის არარსებობის დამტკიცება. ამას ეწოდება დადასტურებული ვარაუდი ე.წ. პრეზუმცია. იგი დამტკიცებულად ითვლება მანამ, სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში არაქონებრივი ზიანი არსებობა პრეზუმირებულია და მხოლოდ ქმედების დადასტურებაა საკმარისი.

მხოლოდ ზიანის არსებობის დადასტურება არაა საკმარისი მის ასანაზღაურებლად. ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ წინაპირობებზე საუბრისას შეიძლება გამოიყოს რამდენიმე არსებითი ელემენტი, რომლებიც

¹¹⁰ სახელშეკრულებო სამართალი, გ.ჯუღელის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 646

¹¹¹ იქვე, 648

გავლენას ახდენს სამართლებრივ შედეგზე¹¹². ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი წინაპირობაა ქმედებისა და დამდგარი შედეგისადმი პირის სუბიექტური დამოკიდებულების, ანუ მისი ბრალეულობის საკითხის გარკვევა¹¹³. რაც შეეხება მიზეზობრივ კავშირს, „ქმედებას პირდაპირი კავშირი (მიზეზობრივი კავშირი) უნდა ჰქონდეს იმ უარყოფით შედეგთან, რომლის აღმოფხვრაც ზიანის ანაზღაურების უპირველესი დანიშნულებაა. თუ პირის ქმედებას არანაირი კავშირი არ აქვს შედეგის დადგომასთან, ამ შედეგის გამოსწორების (ანუ ზიანის ანაზღაურების) ვალდებულება პირს არ დაეკისრება. იგივე შეიძლება ითქვას ზიანის ფაქტის, როგორც ობიექტური შედეგის არსებობაზეც. არ შეიძლება ვინმეს დაეკისროს ისეთი ზიანის ანაზღაურება, რომელიც საერთოდ არ არსებობს¹¹⁴.

5.2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ადრესატი

სამართალი ზიანის მიმყენებელ პირს ზემოქმედების გარეშე არ ტოვებს. ყველა, ვინც სხვას მიაყენებს ზიანს, პასუხი უნდა აგოს. სადაზღვევო სამართალი იძლევა მხოლოდ ისეთი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, რომლის დაცვასაც იგი კისრულობს. რა ფარგლებში და რა ოდენობით უნდა მოხდეს იგი, მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული. თუ მიყენებული ზიანი სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხას აღემატება, მაშინ ნამატი თანხა ეკისრება დამზღვევს და მას სადაზღვევო კომპანია არ გადაიხდის.

უსაფუძვლო გამდიდრების მცირედი შესაძლებლობის გამორიცხვა სადაზღვევო სამართლის მომწესრიგებელი ნორმების ერთ-ერთი მთავარი მიზანია. არსებობს შემთხვევები, როდესაც დიდი შანსია მესამე პირის მიერ მოთხოვნის უფლების ბოროტად გამოყენებისა. მაგალითად, დაზარალებულმა ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს, როგორც დამზღვევს,

¹¹² იქვე, 677

¹¹³ იქვე, 677

¹¹⁴ იქვე, 678

ისე მზღვეველს. ამას ორმაგი კომპენსაცია ეწოდება, რომელიც დაზღვევის არსს ეწინააღმდეგება.

ორმაგი კომპენსაციისაგან უნდა განვასხვავოთ მოთხოვნათა კუმულაციის პრინციპი. გულისხმობს დამზღვევი პირის უფლებას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მოვალისგან იმ მოცულობით, რაც მას მზღვეველის მიერ ზიანის აუნაზღაურებლობის ან სადაზღვევო ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში დაეკისრებოდა¹¹⁵. „მარტივად რომ ვთქვათ, სადაზღვევო ურთიერთობებში მოთხოვნათა კუმულაცია გულისხმობს კრედიტორის მიერ ერთი და იგივე ზიანისთვის ანაზღაურების მიღებას, როგორც მზღვეველისგან, ისე ზიანის მიმყენებლისგან¹¹⁶.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას დამზღვევის მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში მესამე პირს, მისივე ინტერესებიდან და უფლებების დაცვიდან გამომდინარე, უნდა ეცნობოს დამზღვევის პასუხისმგებლობის თაობაზე. აქ რისკი არაკეთილსინდისიერი ქცევისა მინიმალურია, რადგან პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანი ქონებრივი ინტერესის დაცვაა და დამზღვევი პირიქით მოტივირებული იქნება ინფორმაციის გადაცემის თაობაზე. სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლობას იძლევა, დაზარალებულმა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წაუყენოს, როგორც დამზღვევს, ისე მზღვეველს. უნდა განვასხვავოთ ორი შემთხვევა: 1) მოთხოვნა დაყენებულია დამზღვევის მიმართ; 2) მოთხოვნა დაყენებულია უშუალოდ მზღვეველის მიმართ. პირველ შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია აცნობოს მზღვეველს მოთხოვნის დაყენების თაობაზე და მოითხოვოს მისგან პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება ე.ი. მზღვეველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. თუმცა, ასეთი რამ პრაქტიკაში იშვიათად ხდება, ვინაიდან დამზღვევი, როგორც წესი, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისთანავე ატყობინებს სადაზღვევო

¹¹⁵ ნ. მოწონელიძე, სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, თბილისი, 2015, 81, მითითება ნაშრომზე - Maurer A., Kumulation und Subrogation in der Privat- und Sozialversicherung, Ein Beitrag zur Harmonisierung der Gesetzgebung, Bern, 1975, 13 f.

¹¹⁶ იქვე, 81

კომპანიას. თავის მხრივ, დაზარალებულიც ინფორმირებული ხდება დაზღვევის არსებობის თაობაზე. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, სკ-ის 840-ე მუხლის თანახმად, მზღვეველი თავისი ვალდებულების ფარგლებში მოვალეა უშუალოდ ანაზღაუროს ზიანი, თუ პირი, რომელსაც ზიანი მიადგა, მას წარუდგენს მოთხოვნას. მუხლის დისპოზიცია ორ წინაპირობაზე მიუთითებს. მზღვეველი მხოლოდ თავისი ვალდებულების ფარგლებში ანაზღაურებს ზიანს, რაც მხარეთა შეთანხმებას გულისხმობს. სადაზღვევო ხელშეკრულებაში უნდა არსებობდეს მითითება რა რაოდენობის თანხას ანაზღაურებს სადაზღვევო კომპანია. იგი არსებითი პირობაა, ამიტომაც, მასზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში შესაძლოა, ხელშეკრულების ბათილობის სამართლებრივი შედეგიც კი დადგეს. მეორე წინაპირობად დაზარალებულის მიერ მოთხოვნის უშუალოდ მზღვეველისათვის წარდგენა განიხილება. 840-ე მუხლი არ მიუთითებს რა ფორმით უნდა მოხდეს მოთხოვნის დაყენება. შესაბამისად, უნდა დავუშვათ, რომ მისი განხორციელება შესაძლებელია, როგორც ზეპირად, ისე წერილობით.

5.3. მზღვეველის გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან

მზღვეველის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლებას აწესრიგებს სკ-ის 842-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, მზღვეველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დამზღვევემა შეგნებულად გამოიწვია იმ გარემოების წარმოშობა, რისთვისაც მას ეკისრება პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე. საუბარია დამზღვევის ბრალის ფორმაზე, განზრახვაზე. მართალია, „დამზღვევის მიერ ზიანის გამოწვევის ფორმაზე მითითებისას კანონმდებელი იყენებს ტერმინს — იმ გარემოების შეგნებულად წარმოშობა, რისთვისაც დამზღვევს ეკისრება

პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე¹¹⁷, მაგრამ ეს ორი შინაარსობრივად ერთსა და იმავეს გულისხმობს.

სამოქალაქო სამართალში განზრახვის ცნება იდენტურია სისხლის სამართალში არსებული განზრახვისა. თუმცა, მისგან განსხვავებით, სამოქალაქო პასუხისმგებლობის განსაზღვრის კუთხით, პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვად დაყოფა პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებულია.

სადაზღვევო ხელშეკრულება შეიძლება სარისკო გარიგებადაც მოვიხსენიოთ. სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი რისკი გადადის ხელშეკრულებით გადადის მზღვეველზე, რომელიც ამ რისკის ტარების სანაცვლოდ იღებს სადაზღვევო პრემიას. სადაზღვევო ურთიერთობის არსიდან და შინაარსიდან გამომდინარე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კეთილსინდისიერების პრინციპს. “ზოგადად დათქმა კეთილსინდისიერების შესახებ ყველა ხელშეკრულების მიმართ ვრცელდება. კერძოდ, არც ერთმა მხარემ არ უნდა დააბრკოლოს კონტრაქტის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების მიღება”¹¹⁸.

კეთილსინდისიერი ქცევის ვალდებულება მხარეებს ჯერ კიდევ წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებებისას ეკისრებათ. იგი გამოიხატება სწორი ინფორმაციის მიწოდებაში. მზღვეველმა, როგორც ე.წ. ძლიერმა მხარემ, გარიგების პირობები უნდა განსაზღვროს სამართლიანობის პრინციპთან შესაბამისად, ამომწურავად და გასაგებ ენაზე აუხსნას ხელშეკრულების მეორე მხარეს დაზღვევის პირობები, ხოლო დამზღვევი ვალდებულია მიაწოდოს სწორი ინფორმაცია, ნებისმიერი გარემოების თაობაზე, რომლისგანაც შესაძლოა დაზღვევის ობიექტს საფრთხე ემუქრებოდეს. გასათვალისწინებელია, რომ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება დამზღვევს ეკისრება როგორც ხელშეკრულების დადების

¹¹⁷ ქ. ირემაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 842-ე მუხლი, [file:///C:/Users/Temo/Desktop/Artikel-842%20\(1\).pdf](file:///C:/Users/Temo/Desktop/Artikel-842%20(1).pdf) [29.07.2020],

¹¹⁸ მხარეთა უფლებები, 59

ეტაზე, ისე მთელი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში და სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას¹¹⁹.

სადაზღვევო სამართალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დამზღვევის არაკეთილსინდისიერ ქცევას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც იგი მოქმედებს იმ განზრახვით, რომ მიიღოს სადაზღვევო თანხა. მსგავსი „ბოროტი განზრახვა“ გამორიცხავს მზღვეველის ვალდებულებას აანაზღაუროს ზიანი. ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის უფლების წარმოშობა არ შეიძლება განვიხილოთ მესამე პირის ინტერესების შელახვად, ვინაიდან თუ პირი განზრახ მოქმედებს, მას მოტივაციაც უნდა გააჩნდეს. დამზღვევის მოტივაცია კი სხვა რა უნდა იყოს, თუ არა სადაზღვევო თანხის უმართებულოდ მიღება. ეს პრობლემა განსაკუთრებით თავს იჩენს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დროს. დამზღვევი მესამე პირთან შეთანხმებით ახორციელებს სადაზღვევო რისკის რეალიზებას. კანონმდებელი კრძალავს ასეთ ქმედებას და ერთგვარი სასჯელის სახით მზღვეველს წარმოუშობს უფლებას არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევით დამდგარი ზიანი. თუმცა, პრაქტიკაში მეტად რთულია სადაზღვევო კომპანიისათვის დაამტკიცოს აღნიშნული გარემოება. სამოქალაქო პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ ნორმებში ვერ შევხვდებით მტკიცების ტვირთის გამანაწილებელ ნორმას. ამიტომაც, უნდა ვიხელმძღვანელოთ საპროცესოსამართლის დანაწესებით, კერძოდ, თითოეული მხარე ამტკიცებს მის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას¹²⁰. ვინაიდან, კანონმდებელმა არ განსაზღვრა მტკიცებულების სახე და ხარისხი, უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ ფაქტობრივი გარემოების დამტკიცება დასაშვებია ნებისმიერი მტკიცებულებით, მათ შორის ისეთი

¹¹⁹ ქ.ირემაშვილი, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთერთობებში, თბილისი, 2016, 62

¹²⁰ აქვე უნდა აღინიშნოს, შესაძლოა, მხარე ნეგატიურ ფაქტობრივ გარემოებას უთითებდეს, რომლის დამტკიცებაც შეუძლებელია. პირი ვერ დაადასტურებს იმას, რაც არ მომხდარა. უმჯობესი იქნებოდა გაკეთდეს ჩანაწერი კანონმდებლობაში და მიეთითოს - თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს მის მიერ მითითებული პოზიტიური ფაქტობრივი გარემოება. დაუშვებელია, სასამართლომ პროცესის მონაწილე მხარეს დააკისროს მტკიცების ისეთი ტვირთი, რაც განუხორციელებელია

მტკიცებულებით, რომელიც სხვა სამართლებრივი დავების გადაწყვეტისას დაუშვებლად იქნებოდა მიჩნეული¹²¹.

საინტერესოა საკითხი, დამზღვევის არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო, აქვს თუ არა მზღვეველს უფლება შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება. სადაზღვევო ურთიერთობის ნორმები ამ საკითხს არ არეგულირებს. უმჯობესი იქნებოდა, კანონმდებელს თავად გადაეწყვიტა აღნიშნული უფლება წარმოიშობა თუ არა.

¹²¹ საუბარია კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებაზე, კერძოდ, ფარულ ჩანაწერზე ან პირად მიმოწერაზე, რომელიც ფარულად მოიპოვა მხარემ. გასათვალისწინებელია განზრახვის არსებობის მტკიცების სირთულე. შესაძლოა, მართლაც ბოროტი განზრახვით მოქმედებდნენ დამზღვევი და მესამე პირი, ხოლო მტკიცებულების არარსებობის გამო მზღვეველს დაეკისრება ზიანის ანაზღაურება. ასეთი გზით მოპოვებული მტკიცებულება უნდა გაიგივდეს თვითდაზარებასთან

6. სუბროგაციის პრინციპის გამოყენების დაუშვებლობა

ზემოთ ჩვენ მიმოვიხილეთ სუბროგაციის და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნიშნები, არსი, მიზნები. ამ ორი ინსტიტუტის შედარებით ნათელი ხდება, რომ მათი ერთმანეთთან დაკავშირება უმართებულოა. დაუშვებელია სუბროგაციის პრინციპის გამოყენება პასუხისმგებლობის დაზღვევისას, ვინაიდან: 1) ორივე მათგანს აქვს განსხვავებული არსი და მიზანი; სუბროგაცია მზღვეველის უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებაა. იგი უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილებას ისახავს მიზნად. სადაზღვევო პოლიტიკა მოითხოვს, ზიანის ანაზღაურებისათვის გადახდილი თანხის დაბრუნება გარანტირებული იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიების არსებობას და, აქედან გამომდინარე, სადაზღვევოსამართლებრივ ურთიერთობებს საფრთხე შეექმნებოდა. 2) დაცული არ არის დამზღვევის ქონება; სამოქალაქო პასუხისმგებლობა დამზღვევის ქონებას იცავს და მიმართულია მისი ქონებრივი პასუხისმგებლობის შემცირების ან, სულაც, გათავისუფლებისაკენ. იგი მოიცავს ყველა იმ ხარჯს, რაც მოთხოვნის დაყენებას უკავშირდება, მათ შორის, სასამართლო ხარჯებს. თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, განზრახ ზიანის მიყენების შემთხვევაში კანონმდებელი დამზღვევს დაცვის მიღმა ტოვებს. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანია მზღვეველის ქონების დაცვა და მესამე პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაა. სუბროგაციის მასზე გავრცელება კი აზრს უკარგავს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას. საერთო სამართალში მოქმედებს ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც, სადაზღვევო კომპანიას არ წარმოეშობა სუბროგაციის უფლება დამზღვევის მიმართ იმ რისკების რეალიზების გამო, რომლებიც ხელშეკრულებით იყო დაზღვეული. ერთ-ერთ საქმეში¹²² სადაზღვევო კომპანიამ შეიტანა სარჩელი ცოლ-ქმრის წინააღმდეგ და სახლისათვის გაჩენილი ხანძრის გამო ითხოვდა

¹²² Economy Fire and Casualty Co. v. Warren

20,514.05 აშშ დოლარის ანაზღაურებას. სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას დაზღვეულის ცოლმა აღიარა ხანძრის განზრახ გაჩენა. სასამართლომ თანადამზღვევი ქმარი გაათავისუფლა პასუხისმგებლობისაგან მისი ბრალის არარსებობის გამო და აღნიშნა, რომ, თუნდაც, თანადამზღვევის განზრახვი ქმედება ბრალად არ უნდა შეერაცხოს მეორე თანადამზღვევს და მან მაინც უნდა მიიღოს თავისი წილი ანაზღაურება იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია დაზღვევის ხელშეკრულებით.

ამ გადაწყვეტილებით უარყოფილ იქნა ქონების ინტერესის უპირატესობა. მსგავსი მიდგომით, ქონების განზრახ დაზიანების შემთხვევაში იგი აღდგენილი უნდა ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, რომელი მეუღლე მოქმედებდა ბრალეულად. ასეთ შემთხვევებში, ცოლ-ქმარი განიხილებოდა როგორც ერთი მთლიანი სუბიექტი, რომელთაც საერთო ინტერესები ამოძრავებს¹²³. აღნიშნული მიდგომა შეიცვალა უშუალოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე ფოკუსირებით. თუ მეუღლეები მოქმედებენ შეთანხმებით ან მეორე მეუღლემ იცოდა განზრახვის თაობაზე და არ შეეცადა თავიდან აეცილებინა სადაზღვევო შემთხვევა, პასუხისმგებლობა დაეკისრება ორივეს, ხოლო თუ მეუღლე ცალკე მოქმედებდა, დაზარალებულ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურება თავისი წილის ფარგლებში¹²⁴.

სხვა საქმეში¹²⁵ სადაზღვევო შემთხვევის განზრახ გამოწვევის გამო სასამართლომ სუბროგაციის უფლების გამოყენება დასაშვებად სცნო. გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ზოგადი წესით სადაზღვევი კომპანია მოკლებულია შესაძლებლობას სუბროგაციის უფლება გამოიყენოს დამზღვევის წინააღმდეგ, თუმცა, თუ სადაზღვევო რისკის რეალიზება ხორციელდება ან მის დადგომას როგორმე ხელს უწყობს დამზღვევი, მაშინ

¹²³ subrogation and innocent spouse, 1098, შემდგომი მითითება - Vance, 457 N.W.2d at 591.

¹²⁴ შდრ. იქვე, 1101

¹²⁵ Madsen v. Threshermen's Mutual Ins. Co

მზღვეველს აქვს ორი არჩევანი: 1) უარი თქვას ზიანის ანაზღაურებაზე; 2) ან თუ ზიანის ანაზღაურების შემდგომ დადგინდება განზრახვის არსებობა, გამოიყენოს სუბროგაციის უფლება.

6.1. ანტისუბროგაციული წესები

საერთო სამართალში ანტისუბროგაციული წესები მოქმედებს¹²⁶, რითაც დამზღვევის წინააღმდეგ სუბროგაციის უფლების გამოყენებაა აკრძალული. მისი ამოქმედება განპირობებული იყო სუბროგაციის უფლების „უხეში“ გამოყენებით, რომლითაც თითქოს სამართლიანობის მიღწევა შესაძლებელი ხდებოდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში რამდენიმე თეორია განვითარდა. მათ შორის ერთ-ერთია ეკონომიკური ნარჩენების დოქტრინა, რაც ერთი და იმავე ზიანისაგან დაცვას გულისხმობს. „კონკეტივუტის უზენაესმა სასამართლომ¹²⁷ განმარტა, თუ მოიჯარეს არ მიეწოდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იგი პასუხისმგებელი იქნება მზღვეველის წინაშე ან იჯარის ხელშეკრულებით სავალდებულო არაა სადაზღვევო გარიგების დადება, მოიჯარე უნდა განვიხილოთ ნაგულისხმევ თანადაზღვევად და მის მიმართ სუბროგაციის უფლების გამოყენება უნდა გამოირიცხოს. ერთ-ერთი მიზეზი, რაც ნაგულისხმევი წესის შემოღება გახდა, ეკონომიკური ნარჩენის თავიდან აცილებაა, კერძოდ, ქონების, როგორც ერთი მთლიანის დაზღვევა“¹²⁸.

ანტისუბროგაციულ წესები რამდენიმე მიზნით შეიქმნა: 1) სუბროგაციის მომთხოვნი პირი, რისკის საკუთარ თავზე აღებაში იღებს სადაზღვევო

¹²⁶ THE ANTI-SUBROGATION RULE - ASR

¹²⁷ მეიჯარის მზღვეველი ცდილობდა სუბროგაციის უფლების გამოყენებას მოიჯარის მიმართ

¹²⁸ MATTHIESEN, WICKERT & LEHRER, S.C, THE ANTI-SUBROGATION RULE IN ALL 50 STATES, 1-2,

პრემიას. მას არ შეუძლია ამ უფლების გამოყენება, რადგან დამზღვევის უფლებების დაცვიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელს არ შეუძლია საკუთარ თავს წაუყენოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება; საპირისპიროს დაშვებისას, ეს რისკის უკან დაბრუნება იქნებოდა, რაც დაზღვევის არსს ეწინააღმდეგება; 2) დამზღვევისა და მზღვეველის ინტერესთა კონფლიქტის მოწესრიგება და ბალანსის შენარჩუნება; 3) არსებობს რისკი, იმისა რომ დამზღვევის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, სადაზღვევო კომპანია დამზღვევის ინტერესების უგულვებელყოფით, საკუთარი მიზნებისათვის, სუბროგაციისათვის გამოიყენებს¹²⁹.

ქართული კანონმდებლობის ხარვეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ მსგავსი ნორმების არარსებობა. სამოქალაქო კოდექსში სუბროგაციის პრინციპი ასახულია 832-ე მუხლში, რომელიც ზიანის დაზღვევის თავშია. ამავე თავში შედის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაც, რაც ერთი შეხედვით, სისტემური განმარტებით თითქოს შესაძლებლობას იძლევა გამოვიყენოთ სუბროგაცია ზემოთ ნახსენებ შემთხვევებში. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანი, დამზღვევის ქონების დაცვა. მსგავსი დაზღვევის შემთხვევაში დამზღვევის ინტერესები გადაწონის მზღვეველისას.

¹²⁹ შდრ. იქვე, 2-3

7. სასამართლო პრაქტიკა

ფაქტობრივი გარემოებები¹³⁰

2015 წლის 31 მარტს სს „ს-ს“ (შემდგომში „მზღვეველი“), შპს „ე-სა“ (შემდგომში „დამზღვევი“) და შპს „ა-ს“ (შემდგომში „დაზღვეული“) შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, დაზღვეულ იქნა კონტეინერების დროულად დაუბრუნებლობის რისკი. კერძოდ, მზღვეველს უნდა გადაეხადა დაზღვეულისთვის დამზღვევის მიერ კონტეინერის მოცდენით მისთვის (დაზღვეულისთვის) მიყენებული ზიანი. ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მზღვეველმა აუნაზღაურა სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი და სარჩელი აღძრა დამზღვევის წინააღმდეგ თანხის დაბრუნების მოთხოვნით.

საქმის პროცედურული ისტორია

ფოტის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 20 822.25 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამართლებრივი საკითხები

¹³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 ოქტომბრის ას-1057-1017-2016 განჩინება

სუბროგაციის უფლების წარმოშობა დამზღვევის წინააღმდეგ.

სასამართლოს დასკვნითი გადაწყვეტილება

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა სკ-ის 832-ე მუხლის წინაპირობები, რაც სუბროგაციის გამოყენების უფლებამოსილებას ქმნიდა.

საკასაციო სასამართლოს განჩინების შეფასება

წინამდებარე განჩინებაში საკასაციო სასამართლომ მიმოიხილა რამდენიმე სამართლებრივი საკითხი, რომელთაგანაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია სუბროგაციასთან დაკავშირებული პუნქტები.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ გასაზიარებელია სასამართლოს პოზიცია სუბროგაციის წინაპირობების თაობაზე. „სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლით გათვალისწინებულია შესაძლებლობა, რა დროსაც მზღვეველზე გადადის იმ მოთხოვნის უფლება, რაც გააჩნია დამზღვევს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ და ამ უფლების გადასვლა ხორციელდება მზღვევლის მიერ გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში. მოთხოვნის უფლების ასეთი გადასვლა ცნობილია „სუბროგაციის“ პრინციპის სახით. ეს პრინციპი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთი მხარე იკავებს სხვა პირის ადგილს ისე, რომ მას შეუძლია თავის სასარგებლოდ განახორციელოს ამ უკანასკნელის უფლებები მესამე პირის მიმართ. სუბროგაციის მეშვეობით დამზღვევის ნაცვლად მზღვეველს წარმოეშობა უფლება, გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში, დამზღვევის ქონებრივი ინტერესის ხელმყოფისაგან მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება“¹³¹.

ვერ გავიზიარებთ სასამართლოს პოზიციას სასამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით. დადგენილია, რომ დამზღვევმა დააზღვია კონტინენტების დროულად დაუბრუნებლობის

¹³¹ წინამდებარე განჩინების 27-ე პუნქტი

რისკი, დაზღვეულად კი სხვა პირი მიეთითა. გასარკვევია, იყო ეს ქონების თუ პასუხისმგებლობის დაზღვევა. ქონების დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო ინტერესს უშუალოდ კონკრეტული ნივთი წარმოადგენს, რომლის დაზიანებისა თუ დაღუპვისაგან რისკი მზღვეველზე გადადის. ასეთ დროს სადაზღვევო შემთხვევა მესამე პირის მიერ ხელყოფის შედეგად დგება. ხოლო პასუხისმგებლობის დაზღვევისას დამზღვევი საკუთარ ქონებრივ ინტერესს აზღვევს. ხელშეკრულებაში შესაძლოა, არ იყოს მითითებული კონკრეტული პირი, თუმცა დასაშვებია, რომ კონკრეტული ვალდებულების შეუსრულებლობის დაზღვევაც მოხდეს. სწორედ ასეთი შემთხვევაა აღწერილი წინამდებარე განჩინებაში. ამიტომაც, ეს სამართლებრივი ურთიერთობა სასამართლოს უნდა შეეფასებინა როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.

განსახილველი დავის გარემოებებიდან ირკვევა, რომ დამზღვევს ვალდებულება არ შეუსრულებია, მზღვეველმა კი დაზღვეულს აუნაზღაურა მიყენებული ზიანი სკ-ის 839-ე მუხლის შესაბამისად (სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა გაათავისუფლოს დამზღვევი იმ ვალდებულებისაგან, რომელიც მას ეკისრება მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო).

საკასაციო სასამართლოს უნდა დაედგინა, დასაშვებია თუ არა პასუხისმგებლობის დაზღვევისას სუბროგაციის უფლების გამოყენება. განჩინებაში ზოგადად არის მითითებული სუბროგაციის გამოყენების წინაპირობები და პასუხისმგებლობის დაზღვევასთან შედარების გარეშე სასამართლომ მსგავს შემთხვევებზე გაავრცელა სუბროგაციის პრინციპი.

ვერ გავიზიარებთ ზემოაღნიშნულ მიდგომას. სამართლის ამ ორ ინსტიტუტს თავისი მიზნები აქვს. ერთი მზღვეველის ინტერესებს იცავს, ხოლო მეორე დამზღვევისას. სუბროგაციის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილებაა. ზიანის მიმყენებელ პირს ყოველთვის უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა. რაც

შეეხება, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას, იგი დამზღვევის ქონებას იცავს და მიმართულია მისი ქონებრივი პასუხისმგებლობის შემცირების ან, სულაც, გათავისუფლებისაკენ.

სუბროგაციის გამოყენება დამზღვევის მიმართ დაუშვებელია თავად დაზღვევის არსიდან გამომდინარე. სუბროგაციის აკრძალვას ძირითადად ორი გარემოება უდევს საფუძვლად: 1) „სუბროგაციის მომთხოვნი პირი, რისკის საკუთარ თავზე აღებაში იღებს სადაზღვევო პრემიას. მას არ შეუძლია ამ უფლების გამოყენება, რადგან დამზღვევის უფლებების დაცვიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელს არ შეუძლია საკუთარ თავს წაუყენოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება; საპირისპიროს დაშვებისას, ეს რისკის უკან დაბრუნება იქნებოდა, რაც დაზღვევის არსს ეწინააღმდეგება; 2) არსებობს რისკი, იმისა რომ დამზღვევის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, სადაზღვევო კომპანია დამზღვევის ინტერესების უგულვებელყოფით, საკუთარი მიზნებისათვის, სუბროგაციისათვის გამოიყენებს“¹³².

¹³² MATTHIESEN, WICKERT & LEHRER, S.C, THE ANTI-SUBROGATION RULE IN ALL 50 STATES, 2-3

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიმოვიხილეთ, როგორც დაზღვევის არსი, მიზნები, ასევე სუბროგაციის პრინციპი და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა. სამართლის ეს ორი ინსტიტუტი სადაზღვევო ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების ზიანის თავშია მოცემული, რაც ერთი შეხედვით შესაძლებლობას იძლევა ვიფიქროთ, რომ სუბროგაცია ნებისმიერი სახის დაზღვევის შემთხვევაში გამოიყენება.

სუბროგაცია მიმართულია მზღვეველის ინტერესების დაცვისაკენ. მისი წარმოშობის აუცილებელი წინაპირობა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაა. სუბროგაციის ერთ-ერთი მიზანი მხარეთა უსაფუძვლო გამდიდრების გამორიცხვაა. მხარეებში მოიაზრება, როგორც მზღვეველი, ისე დამზღვევი და ზიანის მიმყენებელი მესამე პირი. ჩვენს კვლევის საკითხს სუბროგაცია ემსგავსება დამზღვევის ქონების დაცვის უზრუნველყოფით, რაც საოჯახო პრივილეგიის დადგენაში გამოიხატება. დამზღვევის ოჯახის წევრების მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში სუბროგაციის უფლება არ წარმოიშობა.

სრულიად საპირისპირო ინტერესს ემსახურება სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა. იგი გულისხმობს დამზღვევის ქონების დაცვას ზიანი მიყენების შემთხვევაში. წინამდებარე ნაშრომში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვყოთ ზემოხსენებული დაზღვევის მიზნები. უმართებულოდ უნდა ჩავთვალოთ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანი მხოლოდ დამზღვევის ქონებრივი ინტერესების დაცვაა. მართალია, იგი მეტწილად მასზეა ორიენტირებული, მაგრამ მესამე პირი ყურადღების მიღმა არ რჩება. ამ უკანასკნელის ქონებაც დაცულია ასეთი დაზღვევის არსებობისას. განსაკუთრებით თვალშისაცემია იგი პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შემთხვევაში.

მოცემული ნაშრომით ნათლად გამოჩნდა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევისას სუბროგაციის პრინციპის გამოყენების უმართებულობა და ქართულ კანონმდებლობაში ამკრძალავი ნორმების არარსებობა, რაც შეიძლება ხარვეზად ჩაითვალოს. ასეთის არ არსებობის გამო ხდება სუბროგაციის არასწორი გამოყენება, რომლითაც დაზღვევის მიზანი არათუ ვერ მიიღწევა, არამედ ეწინააღმდეგება მას. სადაზღვევო ურთიერთობის არსს არასასურველი სადაზღვევო შემთხვევის შედეგის დადგომისგან დამზღვევის დაცვა წარმოადგენს. მზღვეველი სწორედ ამ რისკის ტარების გამო იღებს სადაზღვევო პრემიას, რისკის უკან დაბრუნება კი დამზღვევისთვის მიუღებელია.

ნაშრომში განვითარებული მსჯელობის თანახმად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა დამზღვევის დაცვის სადარაჯოზე დგას. ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით კანონმდებელს სურდა გამოერიცხა რაიმე სახის ნეგატიური ზემოქმედება მის ქონებაზე. ეს უკანასკნელი კი შესაძლებელია განხორციელდეს იმ ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, რისგანაც თავის დაცვა ხელშეკრულების გაფორმების დროს დამზღვევის სურვილს წარმოადგენდა.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის არსი და მიზნები სუბროგაციასთან მიმართებით ბუნდოვანია. სადამსჯელო მექანიზმის დამზღვევის წინააღმდეგ გამოყენება შემაფერხებელი გარემოებაა როგორც სადაზღვევო ურთიერთობისთვის, ასევე, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისთვის. საერთო სამართლის ქვეყნებში პოზიტიურადაა გაწერილი ანტისუბროგაციული წესები, რაც გულისხმობს გარკვეული წინაპირობების არსებობისას მისი გამოყენების შეზღუდვას.

სუბროგაციის გამოყენება დაუშვებელია ისეთ შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელია, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ზემოქმედება მოახდინოს დამზღვევის ქონებაზე. თუმცა, თუ ზიანი გამოწვეულია განზრახი

ქმედებით, მაშინ მზღვეველს შესაძლებლობა უნდა მიეცეს უკან დაიბრუნოს გადახდილი თანხა.

საკანონმდებლო დონეზე უნდა მოწესრიგდეს და შემუშავდეს ანტიუბროგაციული წესები, რომლებიც საპრევენციო საშუალება იქნება სუბროგაციის უმართებულოდ გამოყენებისთვის. აუცილებელია სკ-ის 832-ე მუხლს დაემატოს ანტიუბროგაციული შინაარსის მქონე ნორმა, რომლითაც დეტალურად იქნება აღწერილი ის ზოგადი წინაპირობები, რომლებიც დაუშვებელს ხდის მის გამოყენებას. ნორმა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: დაუშვებელია დამზღვევის წინააღმდეგ სუბროგაციის პრინციპის გამოყენება, გარდა ზიანის განზრახ გამოწვევის ან უხეში გაუფრთხილებლობისა.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართული

ნ. მოწონელიძე, სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, თბილისი, 2015

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, ლ. ჭანტურიას რედაქტორობით, თბილისი, 2001

ნ. კვარაცხელია, სუბროგაცია სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016

ნ. მოწონელიძე, სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, თბილისი, 2016

ქ. ირემაშვილი, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016

სახელმწიფო სამართალი, გ. ჯუღელის რედაქტორობით, 2014

ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 1999

ქ. მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, თბილისი, 2020

კროფტოლერი ი., ფლორიან ი., ჰაიდენ მ., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2014

ლ. ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, 214

სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, რედაქტორი - ლადო ჭანტურია, თბილისი, 2017

სტატია

ამირანაშვილი გ. სუბროგაციის უფლების დაუშვებლობა, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2011, 19

მოწონელიძე ნ, ექიმის პროფესიული დაზღვევის თავისებურებანი -
შედარებითსამართლებრივი ანალიზი, სამართლის ჟურნალი N1, 2019, 76

ქეცბაია ე, დაზღვევის სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტი,
მართლმსაჯულება და კანონი N4(43), 84

მოწონელიძე ნ, სუბროგაციის გამიჯვნა რეგრესისა და ცესიისაგან,
სამართლის ჟურნალი, 2014 N1,158

გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოყენების
სამართლებრივი საფუძვლები, სამართალი N10, 11, 12, 2000,

ინგლისური

Aleatra P. Williams, INSURERS' RIGHTS OF SUBROGATION AGAINST
TENANTS: THE BEGOTTEN UNION BETWEEN EQUITY AND HER BELOVED,
2007

Ray Hodgins, Insurance Law, Text and materials, Second edition, 2002

Babiker Ahmed, Some Aspects of the Doctrine of Subrogation in Insurance law,
2006

Fischer E., The Rule of Insurable Interest and the Principle of Indemnity: Are
They Measures of Damages in Property Insurance?, "William & Mary Law School
Scholarship Repository", Faculty Publications, 1981, 446.

V Prashanth, NECESSITY OF INSURABLE INTEREST IN INSURANCE
CONTRACTS,

Clarke M, English Insurance Contract Law, 2016

Peter M. Papasavas, THE INSURER/INSURED RELATIONSHIP IN
SUBROGATION, 1999

J. Van Jaarsveld, F. J. Mostert, J.H. Mostert, THE CLAIMS HANDLING PROCESS
OF LIABILITY INSURANCE IN SOUTH AFRICA, 2015

John F. Dobbyn, Subrogation and the Innocent Spouse Dilemma, 2004

MATTHIESEN, WICKERT & LEHRER, S.C, THE ANTI-SUBROGATION RULE
IN ALL 50 STATES

კანონმდებლობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ

სასამართლო გადაწყვეტილებები

უზენაესი სასამართლო

ნას-1057-1017-2016

ვებ-გვერდის მისამართები

www.gccc.ge

www.matsne.gov.ge